ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

„ქართული ოცნებიდან“ „დემოკრატიულ მოძრაობაში“ გადადიან

გვ.4

ოთხშაბათი, 14 აგვისტო, 2013 №191 (6192) ფასი: 30 თეთრი

ცემა-ტყეპა ბაჩო ახალაიას პროცესზე

გვ.3

საქალაქო სასამართლოს წინ ყოფილი პოლიტპატიმრები დააკავეს

ნანა დევდარიანი: „მერაბიშვილის გათეთრება არ გამოვა!“

გვ.2

გვ.4

დემურ გიორხელიძე: „უცხოური ინვესტიციები ჯერ არ გვჭირდება“

რაისა ქარაია: „ქართული საჯარისო შენაერთები აფხაზეთში არძინბამ შეიტყუა“

გვ.5

ამერიკის საელჩო რიჩარდ ნორლანდის სახის გამომეტყველებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს

გვ. 2

არასამთავრობებს ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე ერთი კანდიდატურა ეყოლებათ

გვ.6

გვ.6

სოსო ცისკარიშვილი: „გიორგი მარგველაშვილს წინ ძნელი გზა ელოდება“

გვ.3

„თუ ასლან აბაშიძე საქართველოში ჩამოსვლას გადაწყვეტს, მას დააკავებენ“

ISSN 1987-9385

7 შსს-მ „პრივატბანკის“ დაყაჩაღების ფაქტზე სამი პირი დააკავა

3 გიორგი ონიანი: „ბაჩო ახალაიასთვის წარდგენილი ბრალი პროკურორის ფანტაზიის ნაყოფია“

7 სამართალდამცველებმა დაკარგული თეონა ჩარგაზია იპოვეს

6 ანზორ საკანდელიძე: „არქიტექტორებმა ძალიან გაიჯეჯილეს“

ნანა დევდარიანი: „მერაბიშვილის გათეთრება არ გამოვა!“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

— ქალბატონო ნანა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადადგომას სხვადასხვა შეფასებები მოჰყვა საზოგადოებაში. ექსპერტთა ნაწილმა ეს პროვოკაციად შეაფასა. ნაციონალებს არჩევნების დისკრედიტაცია სურთ და სწორედ ამიტომ გადადგა ხარატიშვილიო. როგორი იქნება თქვენი შეფასებები?

— მიზეზების რკვევას ვიწყებთ, მაგრამ ჯერ თვითონ მას არ აუხსნია, რატომ გადადგა. აქ ვარაუდების დონეზე მიდის საუბარი. სულაც არ უნდა გამოვრიცხოთ წმინდა ადამიანური ფაქტორი. ხარატიშვილი გრძნობს, რომ შეიძლება დადგეს საკითხი არჩევნების არალეგიტიმურობის შესახებ. არის ასეთი შესაძლებლობა. მეორე მხრივ, მე არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილს სხვა კანდიდატურა ჰყავდეს გამზადებული, ან წინასწარ პირობებს ქმნიდეს იმისთვის, რომ მერე ატეხოს ამბავი, რომ აი, არასამართლიანად ჩატარდა არჩევნები. ეს ერთხელ გავლილი აქვს და ფიქრობს, რომ ამჯერადაც იქნებ რაღაც აქედანაც გამოვიდეს.

— შესაძლოა თავად სააკაშვილის მხრიდან იყო მასზე ზეწოლა?

— ეს აბსოლუტურად არ არის გამორიცხული. ხარატიშვილი კი არა, ჩემ შემდეგ, 2003 წლის შემდეგ, ისეთი კარუსელები ატრიალა სააკაშვილმა ცსკო-ში, ისეთი ხალხი მიიყვანა, რომლებსაც საერთოდ არასოდეს შეხება არ ჰქონიათ ამ სფეროსთან, მაგრამ იყვნენ მისი ერთგულები. მერე ზოგი რა ადგილას გაამწესა და ზოგი რა ადგილას, შემოსავლიან ადგილებს ვგულისხმობ. რა თქმა უნდა, ეს არც ახლა არ არის გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაფერი რომ არის წმინდაპირის შედეგი ე.წ. კოჰაბიტაციისა, ეს ფაქტია. ვერ გრძნობს სააკაშვილი სერიოზულ წინააღმდეგობას ოცნებიდან.

— ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ საკმაოდ მახინჯი ფორმა მიიღო ამ კოჰაბიტაციამ და დიდი იმედგაცრუება დაიწყო საზოგადოებაში...

— რა თქმა უნდა, არის ეს იმედგაცრუება. ალბათ დამეთანხმებით, რომ არც ის არ არის დამთხვევა, რომ მაინცდამაინც ოცნების კამპანიის დაწყებისას რომ გადადგა ხარატიშვილი. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ნაციონალები რომ სერიოზული ბრძოლისთვის ემზადებიან, ეს თვალნათლივ ჩანს. მაშინ, როცა თავად „ქართული ოცნების“ წევრები ვერ უარყოფენ ამას და ამბობენ კიდევაც, რომ, რა თქმა უნდა, მარგველაშვილი გავა იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი უჭერს მხარს. თუმცა მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა არაერთი განცხადება გააკეთა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მერე მივდივარ, უკვე ძალიან ბევრი ეჭვის თვალით უყურებს ამ ყველაფერს და ამბობს — კარგი, მარგველაშვილს შენი ხათრით მივცემთ ხმას, მაგრამ შენ თუ მიდიხარ?... მაშინ მარტო მარგველაშვილის ხათრით უნდა ავირჩიოთ.

— რასაკვირველია ჩნდება საზოგადოებაში კითხვა, რა უნდა გააკეთოს მარგველაშვილმა ივანიშვილის გარეშე?

— მე ისევ ვიმეორებ, უარყოფითი განწყობის გარეშე ვამბობ ამას, მე ძალიან მესიმპატიურება ეს ადამიანი, შორიდან ვიცნობ და პატივს ვცემ, მაგრამ როგორც პრეზიდენტს, მას ვერ ვხედავ, ისევე, როგორც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. მესმის, რომ ივანიშვილი ამბობს, რომ ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ იმ სტერეოტიპისგან, რომ აი, მამა მარჩენალია პრეზიდენტი, არც მამა მარჩენალია და არც დედაა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტს აქვს გადასაწყვეტი უამრავი უსერიოზულესი საკითხი, მათ შორის ის, რაც საგარეო პოლიტიკას შეეხება. ამის უნარ-ჩვევები (და ეს ტერმინი განათლების სამინისტროს ლექსიკონიდან მომაქვს) არ აქვს. რა ვიცი, იქნებ მოგვეფიქრებინა და პრეზიდენტის უნარ-ჩვევების ტესტი მაინც ჩაგვეტარებინა.

— სოციალურ ქსელებში გაჩნდა ახალი ლოზუნგები საზოგადოების მხრიდან, რომ ჩვენ არ ვემიჯნებით „ქართულ ოცნებას“, მაგრამ პრეზიდენტის პოსტზე მხარს ვუჭერთ ნინო ბურჯანაძეს...

— იქნება კიდეც, ამაში გაუგებარი არაფერი არ არის. ზოგს მის მიმართაც აქვს პრეტენზიები, მაგრამ ბურჯანაძის მიმართ კი არა ვიუსტონ ჩერჩილის, იოსებ სტალინის და რუზველტის მიმართ არის უამრავი პრეტენზია, შენიშვნა და კრიტიკა. კრიტიკა კრიტიკაა და რეალურ სიტუაციასაც უნდა შევხედოთ, ვინ გვყავს საპრეზიდენტო კანდიდატები. აქედან უნდა გაკეთდეს არჩევანი, ჩვენ ხომ კოსმოსიდან არ ვაკეთებთ არჩევანს და არც მარსიდან მოგვყავს ვინმე. რაც არის მოცემულობა, აი ამ მოცემულობაში, რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძე უკონკურენტო კანდიდატია. მე საერთოდ ვერ ვხედები, ისევე, როგორც შარშან და შარშანწინ ვერ ვხედებოდი „ქართული ოცნების“ კოალიცია რა პრინციპით იქმნებოდა, ხო წმინდა სუბიექტური იყო, ვის შეიყვანდნენ და ვინ არ უნდოდათ ხომ? ასევე არ მესმის დღესაც, რა პრინციპით ხდება ეს, აყენებ გიორგი მარგველაშვილს, როცა აგერ არის ნინო ბურჯანაძე, რომელმაც კონკურენციაც კი არ გაგიწია, არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და ყველა თავის მომხრეს უთხრა, რომ დაუჭირეთ მხარი ივანიშვილს. გყავს ასეთი კანდიდატურა და რატომ არ უნდა წამოაყენო? რომ ამბობს ახლა ივანიშვილი, მარგველაშვილი არც ერთი პარტიის წევრი არ არისო, უფრო მეტი დემოკრატია და ევროპისთვის განსაცვიფრებელი დემოკრატია არ იქნებოდა, კი სხვა პარტიის ლიდერია ნინო ბურჯანაძე, მაგრამ აი, პრემიერმა დაუჭირა მას მხარი. ეს იქნებოდა ყველაზე მომგებიანი. კოჰაბიტაცია უნდა შედგეს ნორმალურ პოლიტიკოსებს შორის, თორემ დამნაშავეებთან კოჰაბიტაცია არის სრული მარაზმი. აი ეს იქნებოდა ნორმალური კოჰაბიტაცია. ამის მაგივრად კი ჩვენ მივიღებთ იმას, რომ მე არ მჯერა, რომ ეს ასე მოხდება, მაგრამ დავუშვათ, მარგველაშვილმა მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები, ეს კოჰაბიტაცია კიდევ უფრო ღრმა მარაზმში შევა. რამდენიც არ უნდა აცხადოს ახლა მარგველაშვილმა, რომ მე, როგორც კი გავხდები პრეზიდენტი კოჰაბიტაცია დამთავრდებაო, ახლაც იმ გუნდშია, ახლაც იგივე პრემიერია, ახლაც იგივე პარლამენტია და ახლა თუ არ დასრულდა ეს კოჰაბიტაცია და სულ უფრო საზიზღარ ფორმებს იძენს, მერე როგორ დასრულდება?!

— სხვათა შორის, თავიდან იყო ვარაუდები, რადგან ნინო ბურჯანაძემ უარი თქვა და არჩევნებში არ მიიღო მონაწილეობა, სწორედ მას დაასახელებს ივანიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატადო, თუმცა შეცდა საზოგადოება...

— საქმე რაშია იცით? მე არ გამოვრიცხავ, რომ ის ამაზე ფიქრობდა კიდეც, მაგრამ თუ ყურადღებით წაიკითხავთ დათო ზურაბიშვილის ორი დღის წინანდელ ინტერვიუს, ის გარკვევით ამბობს, რომ საშინელება მოხდება თუ ბურჯანაძის ხალხი იქნება პარლამენტში და კანონებს მიიღებენო. ჯერ საერთოდ რა შუაშია პარლამენტი, ახლა საპარლამენტო არჩევნები არ არის, საპრეზიდენტოა. არაო, თვითონ კარგია, განათლებულია, მაგრამ მძიმე შლეიფი მოყვებაო. თუ ჩვენი პოლიტიკოსები არ მოეშვებიან ხალხზე ამ ტონში ლაპარაკს, რომ თურმე მოსახლეობის უმრავლესობა რასაც ფიქრობს და რაც უნდა, თურმე ეს სიბნელეა და მარტო ეგენი არიან ნათელები, სანამ ასეთი მიდგომები არ მოიშლება, მანამდე ჩვენს პოლიტიკურ ელიტას არაფერი არ ეშველება. შენ გირჩევს შენი მოსახლეობა და კეთილი ინებე და ის რასაც ფიქრობს და როგორც ფიქრობს, ის გაითვალისწინე და არა ის იძახო, რასაც ესენი იძახიან ყოველ ფეხის ნაბიჯზე, რომ ხალხმა არ იცის და ჩვენ უკეთესად ვიცით, ხალხმა როგორ უნდა იცხოვროსო. აი, ეს ქედმაღლური დამოკიდებულება ამომრჩეველთან, სწორედ ეს იწვევს, ძალიან კი სწყინთ რომ ვამბობ, მაგრამ სწორედ ეს იწვევს, რომ რესპუბლიკელებს 2%-ზე მეტი მხარდაჭერა არ ჰქონიათ და ესეც ყველაზე კარგ შემთხვევაში. არ შეიძლება ასე ქედმაღლურად უყურო საკუთარ ამომრჩეველს და გეგონოს, რომ მასზე ჭკვიანი ხარ და იძახო, რომ მე ინტელექტუალი ვარ. უამრავი ადამიანი ვიცი, რესპუბლიკელი რომ არ არის, მაგრამ მაგათზე უკეთესი ინტელექტუალია. საერთოდ, ეს თავის ქება რა წესია, ეს რა შემოიღეს, ვერ გავიგე!

— სხვათა შორის, სწორედ ამ პარტიისთვის არის ყველაზე მეტად მიუღებელი ნინო ბურჯანაძე და ამიტომ ვერ მოხვდა ივანიშვილის გუნდშიო...

— ასე ამბობენ და ეს არ არის კარგი. ნამდვილად არ არის კარგი. სხვათა შორის იგივე დათო ზურაბიშვილს, რომლის მიმართაც პიროვნულად ცუდად განწყობილი არა ვარ, მან საკუთარ ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა, რომ ეს ხმა, რომ თითქოს ახლა კი ჰყავს რესპუბლიკელები კოალიციაში, მაგრამ როგორც კი არჩევნებს მოიგებს ივანიშვილი, მაშინვე მოიშორებს რესპუბლიკელებს — ყველას ასე ეგონა და შეცდნენ და ეს ჭორი მე თვითონ გავუშვი საზოგადოებაშიო. ე.ი. სიამაყით თქვა, რომ მე მოვატყუე ხალხიო. მე არ მეგულება სხვა ქვეყანა, სადაც პოლიტიკოსი თავის თავს უფლებას მისცემს, ასე ღიად თქვას, რომ მე ხალხი მოვატყუე.

— ბიძინა ივანიშვილმა კი სწორედ მათზე შეაჩერა არჩევანი და მთავარ ძალად აქცია ქვეყანაში...

— ძალიან ცუდი ტონია, როცა პოლიტოლოგი ან ექსპერტი ამას იტყვის, რომ აი, მე ხომ ამას ვამბობდი, მაგრამ ზუსტად ეს დავინახე მე შარშან, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა. ამის შედეგი რომ ზუსტად ასეთი იქნებოდა, თუნდაც ჩვენი ძველი ინტერვიუები ამოვიღოთ, ჯერ კიდევ შარშან ვამბობდი, რომ ეს კარგს არაფერს არ მოიტანს. ეს მახინჯი კოჰაბიტაციაც ამისი შედეგია. საიდან და როგორ აღმოჩნდნენ ახლა რესპუბლიკელები იქ, ამას დიდი ხნის რკვევა არ სჭირდება. შეერთებულ შტატებს აქვს თავისი სერიოზული ინტერესები საქართველოში და ისინი რესპუბლიკელებს განიხილავენ, როგორც საკუთარ საყრდენს, ამას არც მალავს არავინ. აი, აქედან მოდის ეს ყველაფერი. როდესაც ქვეყანაში პოლიტიკოსებს არ შესწევთ იმისი უნარი, რომ გააკეთონ არჩევანი იმის მიხედვით კი არა, სხვას რა აინტერესებს შენს ქვეყანაში, არამედ იმის მიხედვით, შენს ქვეყანას რა სჭირდება, მანამდე არავითარი უკეთესობა არ იქნება.

— რაც შეეხება ამერიკას და ჩვენი საუბრის მეორე თემას, ვნახეთ, რა ამბავი ატყდა გუშინ 26 მაისის თემასთან დაკავშირებით. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? საუბარია, რომ პოლიცია კანონის ფარგლებში მოქმედებდა და ახლა მერაბიშვილის ადვოკატები გაჰყვირიან, რომ ეს დოკუმენტი მისი გათავისუფლების შესაძლებლობას იძლევაო... ისინი მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რაც მათ ინტერესებში შედის.

— ნაციონალებმა ძალიან კარგად იციან მარტო მკითხველი და ტელემაყურებელი კი არა, ჟურნალისტებიც ხშირად არ კითხულობენ დოკუმენტებს. მე უკვე იმდენი წელია ჟურნალისტი ვარ, ძალიან კარგად ვიცი, რა რიტმში უწევს მუშაობა ჟურნალისტს. ფიზიკურადაც ვერ მოასწრებს ის ყველა დოკუმენტის გაცნობას. ამიტომ ისინი პირდაპირ გამზადებულ ფორმულირებებს იძლევიან, რომ თითქოს ამ დასკვნაში წერია, რომ პოლიციამ ყველაფერი სწორად გააკეთა და ისეთ ინტერპრეტაციას იძლევიან, რომ 26 მაისის აქციის ორგანიზატორები ყოფილან დამნაშავეები. მე გუშინ ყურადღებით გავეცანი ამ დასკვნას, თუ ვისი დასკვნაა, ამას მოგვიანებით გეტყვი, მაგრამ დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ პარლამენტის შენობიდან გამოვარდა კარგად ეკიპირებული და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი პოლიციელების ჯგუფი, რომელიც შეერია იქ და აგრესიულად უსწორდებოდა მომიტინგეებს. პირდაპირ წერია ასე, მაგრამ ამაზე რატომღაც ტელევიზიით არავინ არ ლაპარაკობს. დასკვნაში წერია, რომ დღემდე უცნობი და დაუდგენელია, თუ ვინ იყვნენ ისენი. ახლა პოლიციის ეკიპირებით პარლამენტის შენობიდან მე და შენ რომ არ გამოვარდებოდით, ეს ხომ ცხადია. რატომ არ გამოიძია ეს იმ ხელისუფლებამ? 2011 წელში მოხდა ეს ამბავი და ამის შემდეგ კიდევ წელიწადნახევარი იყვნენ ხელისუფლებაში, რატომ არ გამოიძიეს, ვინ იყო ეს აგრესიული ჯგუფი? სხვათა შორის, სწორედ მაგათ მოქმედებას მოყვა მსხვერპლი. ამას თავი დავანებოთ, ძალიან საინტერესო მომენტია იქ და არავინ ამაზე ხმას არ იღებს რატომღაც. ხაზგასმით წერია დასკვნაში, რომ პოლიციამ მომიტინგეების წინააღმდეგ გამოიყენა სიესის გაზი. თუ გახსოვთ 9 აპრილს რომელი გაზი გამოიყენეს? სწორედ სიესი და ახლა ამის გამკეთებლები ბედავენ და იმას ამბობენ, რომ დასკვნაში წერია, რომ ჩვენ ყველაფერი კარგად გავაკეთეთო.

ახლა მოდით შევხედოთ ვისი დაწერილია ეს დასკვნა. ეს არის კერძო ფირმა, რომელიც წლების განმავლობაში სააკაშვილი-მერაბიშვილის პოლიციის ტრეინინგებს ატარებდა და ასწავლიდა მათ მიტინგების დარბევას. ახლა ისინი დასკვნაში რას დაწერდნენ, ცუდი რამე ვასწავლეთ და ჩვენმა გამოწვრთნილმა პოლიციამ ცუდი რამე გააკეთაო?! ახლა მცდელობა იმის, რომ ეს დასკვნა გამოიყენონ მერაბიშვილის გასათეთრებლად, არ გამოვა!

— თუმცა, სადაც ბაჩო ახალაიას ამართლებენ და საუბარია, რომ დღე-დღეზე გამოუშვებენო, არც ის არის გასაკვირი, რომ მერაბიშვილიც გაათავისუფლონ, თუ არადა, სააკაშვილმა შეიწყალოს მაინც...

— მე საერთოდ არა მაქვს ასეთი სურვილი და დაჟინება, რომ გინდა თუ არა ნაციონალები ციხეში იყვნენ. როგორც მე, ისე საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ ვართ შურისმაძიებლები. ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება, რომ დამნაშავეს დაერქვას დამნაშავე. დანაშაულს უნდა მიეცეს შეფასება. არავინ არ ითხოვს მაგათ მოკვლას, ჩამოხრჩობას, სამუდამოდ ციხეში გამოკეტვას. უბრალოდ, როცა ადამიანს ცუდი რამე აქვს ჩადენილი, მანაც უნდა გააცნობიეროს ეს და საზოგადოებამ უნდა გაიგონოს ეს. რაღაცა ხომ უნდა მოინანიო ადამიანმა, არა?! რაღაცაზე გული ხომ უნდა დაგწყდეს და რაღაცაზე ხომ უნდა ინანო. თუმცა ამისგან ესენი აბსოლუტურად დაცლილები არიან, ამიტომ მაგათთან ასეთი მოპყრობა არასოდეს შედეგს არ მოიტანს. ის კი არ არის, რომ ისინი დაგიფასებენ დიდსულოვნებას, რომ შენ გამარჯვებული პოლიტიკური ძალა ხარ და მათ დიდსულოვნურად ექცევი, ისინი ამას არასოდეს არ დააფასებენ. ეს იმ ყაიდის ხალხია, რომელსაც რაც მეტს დაუთმობ, მით მეტს მოითხოვს. ისევ შეიკვრება წრე და დავუბრუნდებით საკითხს, რატომ არის ასეთი კონფიგურაციით „ქართული ოცნება“. ალბათ სწორედ ამიტომ, რომ ნაციონალებს ჰქონოდათ კომფორტული მდგომარეობა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ცემა-ტყეპა ბაჩო ახალაიას პროცესზე

საქალაქო სასამართლოს წინ ყოფილი პოლიტპატიმრები დააკავეს

ნათია ხურცილავა

თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი გუშინ საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. საპროტესტო აქციაზე მოვლენები პერიოდულად იძაბებოდა. პირველი დაპირისპირება მანდატურებსა და აქციის მონაწილეებს შორის მოხდა. შემდეგ ბაჩო ახალაიას ადვოკატებსა და შეკრებილ მოქალაქეებს შორის. სასამართლოს ეზოში შეკრებილ მოქალაქეებს ლოზუნგებიც ჰქონდათ: „სამართლიანობა უნდა აღსდგეს“, „ახალაია შენი ადგილი სანაგვეზეა“.

მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ახალაიას ერთ-ერთ ადვოკატს, როგორც ადვოკატი აცხადებს. ინციდენტი მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა განმუხტეს.

მანდატურის თანამშრომლებმა აქციის მონაწილე რამდენიმე პირს მოუწოდეს, კანონის შესაბამისად, აქცია გამართონ სასამართლოს ეზოდან 20 მეტრში და არა სასამართლოს ეზოში, რადგანაც სასამართლოს ეზო სასამართლოს ნაწილია.

როგორც ახალაიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯინაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, იმის გამო, რომ პროკურატურას სამხილები არა აქვს, ის ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ გეგმავს საწინააღმდეგო კამპანიას, პროვოკატორები მოჰყავს სასამართლოში და მის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიებიდან პროკურატურა ცდილობს, შავი პიარი ააგოროს. ადვოკატს არ დაუკონკრეტებია ტელევიზიები. მისივე თქმით, საქმის განხილვა დასრულდება, თუმცა უცნობია, მოსამართლე როდის გამოაცხადებს გადაწყვეტილებას.

აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ იგი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს აპროტესტებს, რომელიც ახალაიას გამართლებას ეხება.

– ეს სასამართლო დასცინის საქართველოს მოსახლეობას, დასცინის იმ ადამიანებს, რომლებსაც ცხრა წლის განმავლობაში ღირსება ჰქონდათ აყრილი სწორედ ბაჩო ახალაიასა და მისი ხროვის მიერ. რა მუხლი შეიძლებოდა ჰქონოდა ბაჩო ახალაიას წაყენებული და სისხლის სამართლის კოდექსს გაემართლებინა? გამაგებინეთ, რა ხდება?! რა მიზანი უნდა ჰქონდეს აქციას, როდესაც სასამართლო ახალაიას მართალ ხმარობს ისეთ გამოთქმას, როგორიც არის გამართლება. ამას რა ახსნა აქვს? ვაპროტესტებ იმას, თუ

როგორ იქცევა სასამართლო. მოსამართლეს არ აქვს განცდა, რომ ქუჩაში გავა ვინმე ამის გამო და სილას გააწნის. რას უნდა ვაპირებდე? ესენი ცოტა ხანში თვითონ დაუპირებენ თავის თავს. ხალხი დაუპირისპირდება, – აცხადებს ნანა კაკაბაძე, ხოლო კითხვაზე, გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში რას აპირებთ? პასუხობს: ამის მიმართ – უკვე არაფერს, ვაპირებთ, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ჩავატაროთ ძალიან დიდი აქცია სექტემბრის ბოლოს. ყველა ნახავს, თუ რამხელა იქნება ეს აქცია. ვაკვირდებით, როგორ გაგრძელდება სასამართლო პროცესები, საერთოდ, როგორ მოხდება სამართლიანობის აღდგენა, როგორ გამართლდება მოლოდინი, რომელიც ხალხს ჰქონდა ახალი ხელისუფლების მიმართ. ხალხმა სიცოცხლე, ოჯახები გაწირა იმისთვის, რომ ამ ხელისუფლებას ოქტომბრის არჩევნებში გაემარჯვა, – ამბობს ნანა კაკაბაძე.

საქალაქო სასამართლოს შენობასთან ასევე იმყოფებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წევრები. ისინი აცხადებენ, რომ მოვიდნენ, რათა ახალაიას სასამართლო პროცესს დაესწრონ.

ირაკლი ჩხვირკია, „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელი:

– რეგულარულად ვესწრები ახალაიას სასამართლო პროცესებს. დღესაც მოვედი, რომ დავსწრებოდი პროცესს. გამამართლებელ განაჩენს ვეღოდები, გამომდინარე იქიდან, რომ წინა სასამართლო განაჩენი გამამართლებელი იყო. რაც შეეხება ამ პროცესს, კაკაბაძის 15-კაციანი ე.წ. არმიაა მოსული. არ ვიცი, რას აპროტესტებენ, ვფიქრობ, ამას თვითონაც ვერ ხვდებიან. აპროტესტებენ იმას, რომ თურმე ახალაია არ შეიძლება, მართალი იყოს. დაიჯერეს, რომ ახალაია მონსტრი არ არის და ახლა საკუთარ თავზე და იმ ხელისუფლებაზე არიან განაწყენებული, რომელიც თვითონ მოიყვანეს. სირცხვილია ამათ გვერდზე დგომა. ეს არის კომედია. 15 კაცი დგას და გაურკვეველ მესიჯებს ისვრიან, რომ რეჟიმი უნდა გასამართლდეს, მაგრამ მტკიცებულებები არ აქვთ და ამიტომ, ჯობია, გაჩუმდნენ.

– პროვოკატორები ჰყავთ მოყრილი. პოლიცია არ ერევა. ინიციატივა მოდის მათგან. ჩვენ ჩვენთვის ვდგავართ. შეკრებილი არიან იმიტომ, რომ სასამართლოზე, კონკრეტულად მოსამართლეზე უნდათ ზეგავლენის მოხდენა. პროკურატურას არაფერი გამოსდიოდა და თავის ხერხს მიმართა. თავისი კონტროლირებადი ტელევიზიების მიერ ბაჩო ახალაიას მიმართ ცუდ პიარს ახორციელებს. ამით ცდილობენ საზოგადოების წინაშე ახალაიას ცუდად წარმოჩენას, მაშინ როდესაც საქმეში არანაირი პირდაპირი მტკიცებულება არ არის. სწორედ ეს მაძლევს საფუძველს, ვთქვა, რომ ამ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი უნდა დადგეს, – განაცხადა ახალაიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

ერთ-ერთი ინციდენტის დროს პოლიციამ ერთ-ერთი აქციის მონაწილე დააკავა, რომელიც, როგორც გაირკვა, ყოფილი პოლიტპატიმარია. თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ყოფილი პოლიტპატიმარი ფრიდონ მერებაშვილი საზოგადოებაში სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესის დროს ე.წ. ყოფილი პოლიტპატიმრები აქციას მართავდნენ. გუშინ აქციის მონაწილეები წინა სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანასაც აპროტესტებდნენ.

ტრისტან წითელაშვილი, ყოფილი პოლიტპატიმარი:

– ფრიდონ მერებაშვილი ყოფილი პოლიტპატიმარია. პოლიციამ დააკავა, პატრულის მანქანაში ჩასვა და არ ვიცით, სად წაიყვანეს. ტელეფონი გამორთული აქვს და ვერ ვუკავშირდებით. ჩვენ პროტესტს გამოვხატავთ იმ უკანონო გადაწყვეტილების წინაშე, რომელიც სასამართლომ გამოიტანა წინა ეპიზოდთან დაკავშირებით და, საერთოდ, რასაც ვხედავთ ამ სასამართლოსგან. ჩვენ მშვიდობიანად გამოვხატავთ ჩვენს პროტესტს, მაგრამ ახალაიას პროცესს ესწრებიან ადამიანები, რომლებიც პროვოკაციებს აწყობენ. ასეთი პროვოკაცია მოაწყო ერთ-ერთმა მათგანმა. ამ დროს პოლიციამ დააკავა არა ის პირი, რომელმაც ამ პროვოკაციას ორგანიზება გაუწია, არამედ ის პირი, რომელიც თავის პროტესტს აფიქსირებდა.

ფრიდონ მერებაშვილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით იყო დაკავებული. მას 100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა სასამართლომ.

ჟურნალისტებს „პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა, რომ გიორგი გაბედავას ადვოკატმა გიორგი ონიანმა ხელი დაარტყა.

მოგვიანებით საქალაქო სასამართლოს შენობის წინ მიმდინარე აქციაზე სამართალდამცველებმა გიორგი გაბედავა და ონისე გერგედავა დააკავეს. როგორც გაბედავამ საპატრულო პოლიციის მანქანაში ჩაჯდომამდე განაცხადა, ინციდენტის პროვოცირება შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ადვოკატ გიორგი ონიანისგან მოხდა.

გუშინ სასამართლოს ეზოში საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი იყო მობილიზებული.

„თუ ასლან აბაშიძე საქართველოში ჩამოსვლას გადაწყვეტს, მას დააკავებენ“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ირინა იმერლიშვილის განცხადებით, საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ მეთაურს ასლან აბაშიძეს დააკავებენ. ამის შესახებ იმერლიშვილმა ჟურნალისტებს ასლან აბაშიძის ვაჟის, ბათუმის ყოფილი მერის გიორგი აბაშიძის იმ განცხადების კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმად ის, მამასათან ერთად, საქართველოში დაბრუნებას გეგმავს.

„პროკურატურამ გააკეთა განმარტება, რომ თუ ასლან აბაშიძე საქართველოში ჩამოვა, იგი იქნება დაკავებული. დღეს ის ასეთ რეჟიმშია და მე ვეთანხმები, რომ თუ იგი ჩამოსვლას გადაწყვეტს, იქნება დაკავებული“, – განაცხადა იმერლიშვილმა.

პირველი

აშშ-ის საელჩო ნორლანდის სახის გამომეტყველებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს

აშშ-ის საელჩო ხომალდ „ბალკლიზე“ გამართულ ღონისძიებაზე პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას ელჩ რიჩარდ ნორლანდის სახის გამომეტყველებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს.

„სამწუხაროა, რომ ზოგიერთებმა გადაწყვიტეს არასწორი ინტერპრეტაცია გაეკეთებინათ ელჩ ნორლანდის სახის გამომეტყველებაზე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლისას ხომალდ „ბალკლიზე“. ელჩი იღიმებოდა იმის გამო, რომ მისმა ძალისხმევამ – აღედგინა პროტოკოლით გათვალისწინებული ზომები ამ წარმომადგენლობით ღონისძიებაზე, მიზანს ვერ მიაღწია“, – აღნიშნავენ აშშ-ის საელჩოში.

მათივე თქმით, მიუხედავად ამისა, აშშ-ის საელჩო და სამხედრო საზღვაო ფლოტი მიიჩნევენ, რომ ხომალდის ვიზიტი აშკარად წარმატებული იყო და ადასტურებს იმას, რომ აშშ-ის ერთგულება ორმხრივ ურთიერთობებში საქართველოსთან საზღვაო უსაფრთხოებისა და შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის კონტექსტში შეუდრეკელია.

პირველი

გიორგი ონიანი: „ბაჩო ახალაიასთვის წარდგენილი ბრალი პროკურორის ფანტაზიის ნაყოფია“

ნათია ხურცილავა

გუშინ საქალაქო სასამართლოში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი განახლდა. სასამართლო ე.წ. ჰეინეკენების საქმეს განიხილავდა. ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბჰალდებულების საქმეზე განაჩენის გამოსატანად მოსამართლემ ჰამდენიმე დღე მოითხოვა.

როგორც მოსამართლე დავით მგელიაშვილმა ახალაიას მინისტრობის პერიოდთან დაკავშირებული საქმის განხილვის დასრულების შემდეგ განაცხადა, იგი განაჩენის გამოცხადების თარიღს მხარეებს ერთი დღით ადრე შეატყობინებს.

შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას განცხადებით, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები რეალური რომ ყოფილიყო, ის ბრალს აღიარებდა. სასამართლო სხდომაზე დაცვისა და ბრალდების მხარემ დასკვნითი სიტყვები წარმოთქვეს. მოგვიანებით სასამართლოს სიტყვით ბაჩო ახალაიამ მიმართა.

– ეს რომ რეალური ყოფილიყო, ბრალს ვაღიარებდი და სხვებსაც არ გავხვევდი ამ საქმეში. არანაირი წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ქმედების ორგანიზებას ჩემი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. საქმე ეხება ჩვეულებრივ სამუშაო ვითარებას, საწვრთნელ პროგრამას. რეინჯერების კურსის ამსახველი სამუშაო ვითარება ვიდეოფირზეც არის ასახული, – განაცხადა ახალაიამ.

მისივე თქმით, საქმეში სხვა ბრალდებულები დღეს საბრალდებო სკამზე იმიტომ სხედან, რომ მათ სწორედ ბაჩო ახალაიასთან ჰქონდათ საქმე.

– დარწმუნებული ვარ, სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს, – აღნიშნა ახალაიამ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის თქმით, სამხედროები, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრობის ეპიზოდში ბრალდებულის სკამზე მასთან ერთად სხედან, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიონალი სამხედროები არიან და ბრალდებულის სკამზე მხოლოდ იმიტომ მოხვდნენ, რომ მასთან ჰქონდათ შეხება. ბაჩო ახალაიამ სიტყვით გამოსვლის ბოლოს მოსამართლე დავით მგელიაშვილს მიმართა, რომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანოს.

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების სასამართლო პროცესი ადვოკატების დასკვნითი სიტყვით განახლდა.

სასამართლო სხდომას მოსამართლე დავით მგელიაშვილი უძღვებოდა. როგორც პროცესზე ბრალდებულების ბაჩო ახალაიას და დავით ვეკუას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა განაცხადა, პროკურატურის არგუმენტები და მტკიცებულებები ძალიან სუსტი იყო, დაზარალებულების ჩვენებები კი – ურთიერთგამომრიცხავი.

მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შვიდი თანამშრომლისთვის შეურაცხყოფის მიყენების შესახებ პროკურატურის ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან პროკურორის მიერ ნახსენები ფაქტები იმ რეინჯერების კურსთან არის დაკავშირებული, რომელიც დაზარალებულებმა გაიარეს.

ფაქტების ნაწილი კი, ველიჯანაშვილის განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება. პროკურატურის ცნობით, საქმე ეხება ბაჩო ახალაიას შს მინისტრად მუშაობის პერიოდს, როდესაც მან კოალიცია „ქართული ოცნებისადმი“ სიმპათიის გამო შს სამინისტროს 7 თანამშრომელს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

პროკურატურის ინფორმაციით, ახალაიას ბრალი საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებითა და ასევე სსკ-ის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით ედება.

როგორც ჟურნალისტებს ველიჯანაშვილმა საქალაქო სასამართლოში განუცხადა, ახალაიასთან ერთად ბრალდებული პირების ნაწილის ადვოკატებმა ახალაიას შს მინისტრობის პერიოდთან დაკავშირებულ საქმეზე დასკვნითი სიტყვა პროცესზე უკვე წარმოთქვეს, დაცვის მხარე დასკვნითი სიტყვის მეორე ნაწილი კი გუშინ წარმოთქვეს.

ბაჩო ახალაიას ადვოკატ გიორგი ონიანის თქმით, პროკურატურის მიერ წამოყენებული ბრალდებულებების ნაწილი პროკურორის ფანტაზიის ნაყოფია, ხოლო დანარჩენი ნაწილი, რომელიც საზოგადოებას მართლა არაადამიანურ მოპყრობად შეიძლება მოეჩვენოს, არის რეინჯერთა კურსის ნაწილი, რომელიც სპეცრაზმის წევრებს ამზადებს და ცდილობს შექმნას საომარ მოქმედებასთან მიახლოებული სიტუაცია.

ონიანის თქმით, ბაჩო ახალაიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების საკითხის კანონიერების გასაჩივრებისთვის სტრასბურგის სასამართლოს 2013 წლის მაისში მიმართეს:

– აღნიშნულ საჩივარში ნათლად იქნა ჩამოყალიბებული ის უამრავი კანონდარღვევა, რომლებიც თან სდევდა ბაჩანა ახალაიასთვის აღმკვეთი ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 2013 წლის ივლისში სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები და აღნიშნული სარჩელი მიიღო წარმოებაში, რის შესახებაც გვეცნობა წერილობით. სწორედ ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა ახალაიას მიმართ არსებული საქმეების უსუსურობა და მათი პოლიტიკური ხასიათი. პროცესზე დაცვითი სიტყვები წარმოთქვეს ადვოკატებმა, სადაც საბოლოოდ გაბათილდება ყველა ის არგუმენტი, რაც პროკურატურას ჰქონდა. პროკურორმა დასკვნით სიტყვაში წარმოადგინა ის ბრალდებები, რაც მას ჰქონდა. საერთოდ არ გაითვალისწინა ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა. დარწმუნებული ვართ, რომ სასამართლო მტკიცებულებებზე დაყრდნობილ გადაწყვეტილებას გამოიტანს. საბოლოო ჯამში, ეს გამამართლებელი განაჩენი უნდა იყოს. მოყვანილი იყვნენ რეინჯერები, რომელთა მიმართაც განხორციელდა იგივე წვრთნები, რაც ამ 45 ადამიანის მიმართ, მაგრამ ამათ ეს წამებად არ აღუქვამთ. სპეცნაზელს ეს კურსი აუცილებლად უნდა ჰქონდეს გავლილი, – აცხადებს ონიანი.

ბაჩო ახალაიას მიმართ სამი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე მოხდა ბრალის წარდგენა და სამივე შემთხვევაში გამოყენებულ იქნა მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ახალაია სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა უდანაშაულოდ. დანარჩენი ორი საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს. სასამართლოს ამ ეტაპისთვის განსახილველი დარჩა ე.წ. ციხის ბუნტი.

შორენა კოწოწაშვილი

დემურ გიორხელიძე: „უცხოური ინვესტიციები ჯერ არ გვჭირდება“

რა შეცდომა დაუშვა პრემიერმა, რამდენად მძიმეა მართლაც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და რა შეცდომებით მართავს „ქართული ოცნება“ ქვეყანას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დამოუკიდებელ ანალიტიკოს დემურ გიორხელიძესთან.

— ბატონო დემურ, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების მუშაობას ეკონომიკური კუთხით. მართლაც ასეთი მძიმე ვითარებაა, როგორც ამას საპარლამენტო უმცირესობა აცხადებს?

— ვფიქრობ, მოულოდნელი არაფერი ხდება. ჯერ ერთი, ის, რომ სიტუაცია ცოტა უფრო გაუარესდებოდა იმ მხრივ, რომ ის ყბადაღებული თითქოსდა ზრდა ეკონომიკისა და კეთილდღეობა, რომელიც, არავინ იცის, სად იყო, მაგრამ ეს ნაცმოძრაობის ლიდერების თავში არსებობდა. მათ თავიანთი საქართველო ჰქონდათ, თავიანთი სქემა და თავისთვის აშენებდნენ ბრწყინვალე სახელმწიფოს, მაგრამ ეს იყო კორპორაციული სახელმწიფო ვიწრო წრისათვის. ბუნებრივია, როცა ასე მძლავრად ორიენტირებულ სისტემაში შემოდის ახალი პოლიტიკური ძალა, სისტემის დემონტაჟი და მისი გადაწყობა სხვა შეხედულებათა სისტემაზე, პირველი ეტაპის ამოცანა იყო. თუ რაიმე კარგი იყო, დარჩენილიყო და თუ რაიმე ისეთი არ იყო, რომელიც შეესაბამებოდა ახალი პოლიტიკური ჯგუფის მსოფლმხედველობას, შეცვლილიყო. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ სისტემის დემონტაჟის გარეშე დაიწყო ის პროცესი, რომელსაც კოჰაბიტაცია დაარქვეს და რომელიც არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა. პოლიტიკური ჯგუფის მომავლის უზრუნველყოფა ამ პოლიტიკური ლიდერების საქმეა და ხალხთან ურთიერთობის შემდეგ შეიძლება გადაწყდეს, იქნება თუ არა ეს პოლიტიკური ძალა პოლიტიკურ არენაზე. ამიტომ ხელისუფლებაში მოსულ ძალას არ შეიძლება ჰქონდეს რომელიმე პარტიის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიები. ეს აღმოაჩნდა ახალ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა. თუმცა ეს გარკვეულად შეიძლება გავიგოთ, რომ თავსმოხვეული იყო, თუმცა პოლიტიკური სცენარი ამისა აშკარად ისახებოდა. სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი არც ეს არის. პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების სისუსტის და არასწორი პოლიტიკური თამაშის გამო სრულიად რეალური იყო ის სცენარი, რომ ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“, საერთო ენას გამონახავდნენ. ამაში დაინტერესებული წინა ხელისუფლების მეგობრებიც იყვნენ გარედან.

— მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზი კოჰაბიტაციაც არის?

— ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ აქცენტები ახალმა ხელისუფლებამ გადაიტანა ნაციონალებთან ურთიერთობის რეგულირებაზე, რაც გარედანაც იყო ნაკარნახევი. ეს აშკარაა. მაშინ, როდესაც კრიზისში მყოფი ქვეყანა სისტემურ ცვლილებებს ითხოვდა; ითხოვდა გადაუდებელ ცვლილებებს, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციონალურ სფეროში. მთავარი ის იყო: სახელმწიფო გაღებულიყო საკუთარი მოქალაქეებისთვის და თავისუფალი შრომისთვის მიეცათ სტიმული. ორ, სამ და რვა თვეში რომ ის საშინელი უმუშევრობა ვერ დაიძლეოდა, ამის ილუზია არავის ჰქონდა. აქ მთავარი იყო, მიიღებდა თუ არა საზოგადოება სწორ იმპულსებს, რომ ცვლილებები დაიწყო. ხალხი ცვლილებებს ფიზიკურად გრძნობს. რადგან თვითონ ვერ დაადგა საქმიანობას და გვერდით ხედავს, რომ გაინძრა ხალხი, ეს მას აძლევს დადებით იმპულსებს, რომ ისიც იმედიანად იყოს. რადგან გარედან ისეთი სიტუაციაა, რომ არაფერი იცვლება, დასაქმება ისევ გაყინულია რვა თვე, თუმცა, საკმარისი იყო, რაღაც შეცვლილიყო. შემოსავლების მხრივ გაუარესებული მდგომარეობაა — არ არის დასაქმება, არ არის შემოსავლები. პერსპექტივა ისეთია, რომ თუ არ შეიცვალა წლის ბოლომდე რაიმე, რადიკალური ცვლილებები არ იქნება. ყველაზე საშიში, რაც შეიძლება იყოს, ეს არის სიტუაციის უცვლელობის შემთხვევაში, გადაფასება საზოგადოებაში, რომელიც ნამდვილად არ არის საჭირო. პოლიტიკა სასტიკი რამეა და არ ითმენს დიდ პერიოდში იმედების გაცრუებას.

— ნაციონალები ამტკიცებენ, ეკონომიკა მინუსებში გადავიდაო. ეს საბოტაჟის შედეგია, რაზეც ექსპერტები მიანიშნებდნენ თუ მთავრობის არასწორი ნაბიჯების ბრალი?

— მოდით, ვთქვათ, რასთან გვაქვს საქმე. ძველმა ხელისუფლებამ, რომელიც ძალიან ორგანიზებულია და თავისი პოლიტიკური მომავლის უზრუნველყოფას ცდილობს, კოალიციის შეცდომების ფონზე მშვენივრად მოიდგა ფეხი, მაშინ როცა ხალხში განწყობის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, პერსპექტივა არ ჰქონდა რამდენიმე თვის წინ, შესანიშნავად იცის, რა მდგომარეობა იყო ეკონომიკაში, იმიტომ რომ თვითონ მიიყვანეს ეკონომიკა ამ მდგომარეობამდე. მათ ჰქონდათ აბსოლუტურად მონოპოლიზებული ეკონომიკა, ჰყავდათ მონოპოლიური ჯგუფები, რომლებმაც გასულ წელს მიიღეს მოგების სახით 7 მლრდ ლარი და არ შემოაბრუნეს ეკონომიკაში, მათი აქტივობა შენელდა. ბუნებრივია, ეკონომიკა, რომელიც იმპორტსა და იმპორტზე ორიენტირებულ მონოპოლიურ ჯგუფებზე იყო აგებული, მგრძნობიარეა მათი უმოქმედობის მიმართ. არაფერი არ წარმოიქმნა და ვერც წარმოიქმნებოდა, იმიტომ რომ ფულის საშინელი დეფიციტია. ფული მახინჯ საბანკო სისტემაშია კონცენტრირებული, რომელიც ასევე მონოპოლიების ნაწილია და ეს დაეტყო ეკონომიკას, სინამდვილეში არაფერი ტრაგიკული არ ხდება, ზრდა არის და იქნება წლის ბოლომდე. მაგრამ ეს ის ზრდა არ არის, რომელიც ქვეყანას კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანს. არც ის ზრდა არ არის არაფერი, რასაც ნაცმოძრაობა გეგმავდა — 6 მლნ 2013 წელს. ეს მათი დაგეგმილი ციფრია. ესეც კი არაფერს იძლეოდა, მაგრამ პროპაგანდა პროპაგანდაა, პიარი პიარია და სამთავრობო პიარის სისუსტის ფონზე მათ მშვენივრად გაითამაშეს სუსტი მონაცემებიც კი. გასული წლის ივნისთან შედარებით, წლევანდელ ივნისში 0,8%-ით კლება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 2013 წელი იქნება მინუსებში და ეკონომიკა შეკუმშვაზე წავა. ეს სულაც არ არის და არც იქნება ასე. მაგრამ ერთია, როცა ერთ მონაცემს არასწორად უპირისპირდება სამთავრობო კონტრპროპაგანდა. ეს შესანიშნავად გამოიყენეს ოპოზიციურმა პარტიებმა, რომელმაც დაატრიალეს ქარიშხალი ჭიქაში.

— ანუ, დღეის მდგომარეობით, ეკონომიკური კუთხით სახიფათო ტენდენცია არ არის?

— სახიფათო ტენდენცია არ არის. ქართული ეკონომიკა ისედაც სახიფათო მდგომარეობაშია. როცა ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად 15 მლრდ დოლარს არ აღემატება ანუ მშპ, როგორ შეიძლება საქართველოს ეკონომიკა იყოს ასეთი მწირი, მაშინ როდესაც ეს საშუალო ევროპული ფირმის შემოსავალია.

— იპოთეკებთან დაკავშირებით მიღებული კანონიდან გამომდინარე, აშკარაა, კოალიცია არასწორ ნაბიჯებს დგამს. ითქვა, რომ ამ კუთხით გარკვეულწილად სახელისუფლებო ჯგუფების ინტერესების გატარების მცდელობა იყო, ვიდრე პრემიერმა არ შეაჩერა. რა აჩვენა ამ კანონმა, რომ ერთი კაცი წყვეტს ყველაფერს და რომ უმრავლესობა საშუალო ფენას ჩაკლავდა ამ კანონით?

— მე არ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ახალ მთავრობას საშუალო კლასის ჩაკვლა უნდოდეს. პირიქით, ვფიქრობ, მალე უნდა გამოჩნდეს, რომ ამ თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის მოსურნე ადამიანებს სერიოზული გასაქანი უნდა მიეცეთ. რა თქმა უნდა, მთავრობამ რამდენიმე სერიოზული სისუსტე გამოამჟღავნა. ერთ-ერთი პირველი სისუსტე ტარიფებთან დაკავშირებული იყო, როდესაც მართლაცდა ენერგოსექტორთან მიწებებულ ამ წურბელებს მისცა საშუალება, კვლავ ადამიანების ძარცვის ხარჯზე სერიოზული მოგებები მიეღოთ როგორც ელექტროენერგეტიკაში, ისე ბუნებრივი აირის სფეროში. მეორე მნიშვნელოვანი სისუსტე იყო ის, რომ მთავრობამ არ იფიქრა იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი იმპულსები სწორედ მუშაობის მოსურნე უნდა ყოფილიყო და სასწრაფოდ უნდა ამუშავებულიყო სახელმწიფო პროგრამები და კრედიტამდე ხალხს დახმარებოდა. ამაშიც ჯერ ვერ დაეხმარა. ის მოთხოვნები, რომლებიც ამ კუთხით არსებობდა, აბსოლუტურად არაპერსპექტიული იყო. პირველი ნაბიჯები, რომელსაც აშკარად დადებითი ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა საზოგადოებისთვის და საქმიანი ადამიანებისთვის, არ იყო. საბაჟოზე დაიწყო მოწესრიგება, თუმცა იმპორტთან დაკავშირებული კლანები კვლავ შესანიშნავად გრძნობენ თავს და რაიმე განსაკუთრებული არ არის. რამდენიმე სკანდალური ამბავი, რომელიც იმპორტს უკავშირდება, ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ფული ისეა, როგორც წებო. ახალი ხელისუფლებები იქნება, დღეს თუ მომავალში, ყოველთვის მოიძებნება ადამიანები, რომელიც მომავლისკენ გაიწევიან. ეს თავისთავად საშიში არაა. რამდენადაც ჩემთვის პრემიერის მოსაზრებები ცნობილია, იგი გარკვეული სერიოზული ნაბიჯებისთვის ემზადება იმისთვის, რომ ეკონომიკაში მართლაც სერიოზული ძვრები იყოს. როგორ განხორციელდება ეს, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ის, რომ ივანიშვილს აქვს ამის სურვილი, გვერდზე გავიდეს მავრობიდან, ცუდი არაფერია, იგი, პრინციპში, ამ საქმიდან არსად არ აპირებს წასვლას, თანამდებობას აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა.

— თქვით, ივანიშვილი ახალი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ნაბიჯების გადადგმისთვის ემზადებაო. ამას ივანიშვილი ძველი, ნაციონალების კადრების მეშვეობით გეგმავს?

— დიახ, ვფიქრობ, ერთ-ერთი სერიოზული სისუსტე მთავრობამ გამოიჩინა იმაში, რომ მან რეორგანიზაციები არ მოაწყო. საუბარი არ შეიძლება ყოფილიყო აპრიორი ის, რომ რადგან წინა ხელისუფლების დროს მუშაობდი, ამიტომ არ უნდა იმუშავო, არა. უნდა ჩატარებულიყო სერიოზული ტესტირება თითოეული უწყებისა. ხელახლა გამოცხადებულიყო კონკურსები და ვინც კი გავიდოდა ამ კონკურსებში ახალი მოთხოვნების საფუძველზე და ვინც ამ კონკურსებში გავიდოდა, მათ შორის წინა ხელისუფლების კადრები, ისინიც დაინიშნებოდნენ. მაგრამ ისე გამოვიდა, ხელი არ შეახოთ სამინისტროებში წინა ხელისუფლების კადრებსო, რომელთა დიდი უმრავლესობაც, გითხრათ სიმართლე, სულ პანჩურით გამოსაყრელი არიან. ძალიან ცოტა კვალიფიციური კადრია, ძალიან ბევრი იქ ქრის უბრალოდ იმის გამო, რომ წინა ხელისუფლების პარტიული ერთგული კადრები იყვნენ და ამიტომაც სხედან დღესაც მშვენივრად. იმ მთავარ უწყებებში, როგორიც არის საფინანსო-ეკონომიკური ბლოკი და განსაკუთრებით ძალოვანი უწყებები, სერიოზული რეორგანიზაცია უნდა მომხდარიყო. ამის არგაკეთება მთავრობის სერიოზული შეცდომა იყო. რადგან თუ ახალი მიდგომები არ იქნება, არაფერი გამოვა ქვეყნის წინსვლის საქმეში.

— პრემიერის მიერ წლის ბოლომდე პოსტიდან წასვლასთან დაკავშირებული განცხადება არასაპარლამენტო ოპოზიციამ არასწორ პოლიტიკურ სვლად შეაფასა. მართლაც პოლიტიკურად გაუმართლებელი განცხადება გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა?

— მე ვფიქრობ, რომ განცხადება არ უნდა გაკეთებულიყო. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს განცხადება სწორი არ იყო. ვფიქრობ, სულაც არ არის მიუღებელი თანამდებობიდან გასვლა. მას შეუძლია, ძალიან მძლავრი საზოგადოებრივი ჯგუფი გააკეთოს, მათ შორის პოლიტიკური ჯგუფის სახით, რომელიც სერიოზული და ძალიან მძლავრი მოთამაშე იქნება ქართულ პოლიტიკურ სცენაზე. მაგრამ თუ ახლა წმინდა პოლიტიკური ტექნოლოგიების თვალსაზრისით შევხედავთ, იმ ეტაპზე, რა ეტაპზეც ივანიშვილმა განცხადება გააკეთა, პოლიტიკური თვალსაზრისით ეს საქმისთვის, რა თქმა უნდა, კარგი არ იყო.

— საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ სამართლიანობის აღდგენის ძალიან სუსტი პროცესის ფონზე, როცა ნაციონალები ძალებს ისევ იკრებენ, არასწორია პრემიერის წასვლაზე საუბარი და ეს სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმს მოაძლიერებს. ეკონომისტები ამბობენ, პრემიერის ამ განცხადებამ ინვესტიციების შემოსვლაზე უარყოფითი გავლენა იქონია. თანაც დღემდე არც ერთი ბიზნესმენის მიმართ არ აღმდგარა სამართლიანობა...

— პოლიტიკური თვალსაზრისით ნამდვილად არ იყო ეს განცხადება საჭირო. სამართლიანობის აღდგენის პროცესი ვერ გადაფარავდა იმ ეკონომიკურ პრობლემებს, იმ სიღარიბესა და უმუშევრობას, რომელიც ქვეყანაშია. წინა ხელისუფლება საუბრობს მშპ-ის ზრდაზე წლების განმავლობაში და ამ დროს უმუშევრობა უფრო მაღალია. 2012 წელს არ მოიძებნა ადამიანი, ვინც დადებდა ამ მონაცემებს. ეს იყო მოჩვენებითი ზრდა, სესხების ხარჯზე ზრდა და არა წარმოებული პროდუქციის, მომსახურების ზრდის ხარჯზე მიღებული ზრდა. ამიტომ იყო დაუსაქმებლობა გაზრდილი. ცხადია, როდესაც ინვესტიციების შემოდინებაზეა საუბარი, ეს გარკვეულად ინერციულად მიდის და მთლად სწორი არ არის. მე გითხარით, 7 მლრდ ფული, რომელიც საკუთარი გაქვს, გასულ წელს მოგებით მიღებული, ის არ არის შემობრუნებული ეკონომიკაში და პლუს, შენი მოქალაქეების ფული, რომლებიც საზღვარგარეთ არიან და საკუთარ ქვეყანაში მისჩერებიან სიტუაციის გაუმჯობესებას და რომლებიც მზად არიან, სულ ცოტა, 2,5 მლრდ დოლარი შემოიტანონ ქვეყანაში, ამისთვის არ გაგიხსნია ჯერ გზა და პატარა ბავშვებივით ხდება იმის პედალირება, რომ არიქა უცხოური ინვესტიციები არ შემოდის. არც გვინდა ჯერ. ჯერ საკუთარი რესურსი აამოქმედე და თუ არ გეყოფა ეს, იმ წუთში წახვალ გარეთ და მოიზიდავ უცხოელ ინვესტორებს.

„ქართული ოცნებიდან“ „დემოკრატიულ მოძრაობაში“ გადადიან

„ქართული ოცნების“ მომხრეები კახეთის რეგიონიდან, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების დროს, კოალიციის კოორდინატორები და მხარდამჭერები იყვნენ, კოალიციის ოფისებს ტოვებენ და ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა რიგებს უერთდებიან. ისინი კოალიციასა და მის საპრეზიდენტო კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს უნდობლობას უცხადებენ. მათი თქმით კოალიციას არაეროვნული პოზიცია აქვს და ეროვნული ინტერესების გასატარებლად ქვეყნის სათავეში მხოლოდ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას ხედავენ.

როგორც „ნიუსპრესს“-ს „დემოკრატიული მოძრაობის“ კახეთის შტაბის კოორდინატორმა ვალერი შოშიაშვილმა განუცხადა, კახეთის 8 რაიონში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბები ამ დროისთვის უკვე 250-მდე კანდიდატმა დატოვა.

„ქართულმა ოცნებამ“ ხალხს არ შეუსრულა ის დანაპირები რასაც ისინი არჩევნებამდე იძლეოდნენ. არ აღდგა სამართლიანობა და უფრო მეტიც კოალიციასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის კოჰაბიტაცია შედგა. ისინი, ვინც არჩევნებამდე ხალხს ატერორებდნენ, ისევ თავიანთ თანამდებობებზე არიან და უფრო მეტიც, ეს ადამიანები დააწინაურეს. ხალხი ხედავს, რომ ქვეყნის სწორ გზაზე დაყენებას მხოლოდ ისეთი ძლიერი პიროვნება მოახერხებს, როგორიც ნინო ბურჯანაძეა, რომლის რეიტინგიც ყოველდღიურად იზრდება. მის შტაბში ადამიანები კოალიციიდან ყოველდღიურად, ინტენსიურად გადადიან“ — განაცხადა „ნეწსპრესს“ -თან საუბრისას ვალერი შოშიაშვილმა.

გურიაში, კერძოდ ლანჩხუთში კოალიცია „ქართული ოცნება“ 60-მდე წევრმა და ათეულობით მხარდამჭერმა დატოვა.

როგორც „ნიუსპრესს“-ს „ქართული ოცნების“ უკვე ყოფილმა მხარდამჭერმა განუცხადა, ლანჩხუთში კოალიციურ რეჟიმში მუშაობა არ შედგა, მათმა რამდენიმეთვიანმა ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო და აქედან გამომდინარე ისინი, ნინო ბურჯანაძის შტაბს უერთდებიან.



„კოალიციამ, კონკრეტულად კი ბატონმა ბიძინამ ვერ მოახერხა მარტო გამკლავებოდა სამართლიანობის აღდგენას. ხელისუფლების უნიათობის შედეგად, მთავრობასა და ოპოზიციას შორის კოაბიტაცია შედგა, რამაც სრულიად საქართველო და მათ შორის ჩვენი რაიონის მოსახლეობა აღაშფოთა. ის მოსახლეობა, რომლებიც სიცოცხლის რისკის ფასად ედგა „ქართულ ოცნებას“ გვერდში.

თუმცა, მიზეზი მხოლოდ ეს არ არის, მიზეზი უამრავია და მათ შორისაა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი. ჩვენ მის კანდიდატურას ვერ მივესალმებოდით, მაშინ როცა ქვეყანაში არსებობს კანდიდატი ნინო ბურჯანაძის სახით. ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი ამიერიდან არის ნინო ბურჯანაძე, რომელსაც აქვს დიდი სახელმწიფოებრივი ხედვის უნარი, ის არის საერთაშორისო ურთიერთობების მქონე ადამიანი და პროფესიონალი პოლიტიკოსი. ის ნამდვილად სჭირდება პრეზიდენტად საქართველოს. ამას იზიარებს უმრავლესობა და სწორედ ამიტომ ხდება, რომ კოალიციის რიგებს ყოველდღიურად აკლდებიან ადამიანები და „დემოკრატიული მოძრაობის„ შტაბში გადმოდიან,“ — განაცხადა „ნიუსპრეს“-თან საუბრისას ნინო ბურჯანაძის შტაბის წევრმა ნონა მურვანიძემ.

რაისა ქარაია: „ქართული საჯარისო შენაერთები აფხაზეთში არძინბამ შეიტყუა“

აფხაზეთში ომის დაწყებიდან 21 წელი გავიდა

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში ომის დაწყებიდან 21 წელი გავიდა. ამ ომში, ჰომელიწ საბჭოთა ჯავშირის დაშლის შემდეგ დაინყო და 13 თვეს გრძელდებოდა, ქართველებს ფაქტიურად ებრძოდა აფხაზებს ამოფარებული ჩუსეთი და მას საფუძვლად ედო აფხაზეთის ჩამოჭრა საქართველოდან, ჩათა ტერიტორიებდაკარგული საქართველოს დასავლეთის ორბიტაზე გადასვლის შანსი არ ჰქონოდა. აი, ჩისთვის სჭირდებოდა ომი აფხაზეთში ჩუსეთს და არა იმისთვის, ჩომ თითქოს ზრუნავდა აფხაზი ეთნოსის „თვითგამოჩენასა და დამოუკიდებლობაზე", – აღნიშნავს აფხაზეთის ა/ჩ უმაღლესი საბჭოს ფრაქციათა კოალიციის „ქართული ოცნება – ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი საქართველოს" თავმჯდომარე ქალბატონი ჩაისა ქარაია.

– ქალბატონო რაისა, ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ 1992 წელს შესაძლებელი იყო აფხაზეთში ომის თავიდან აცილება, რომ არა შეიარაღებული ნაწილების შეყვანა აფხაზეთში საქართველოს მაშინდელი სახელმწიფო მეთაურის მიერ?

– ვისაც აფხაზეთში უცხოვრია ომის წინა წლებში და იცის ამ ომის წინაპირობები, ცხადია, ამ აზრს არ დაეთანხმება. ომი 14 აგვისტოს არ დაწყებულა. მთავარი ამ შემთხვევაში თარიღი არ არის. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ კალენდარულ დღეს დაემთხვა ეს. ცუდი ისაა, რომ ამ მოვლენას წინ უძღოდა ხანგრძლივი „მოსამზადებელი პერიოდი“ მესამე ძალის წაქეზებით და ჩვენც მშვენივრად ვიცოდით ამის შესახებ.... თუმცა, ქართველთათვის ჩვეული მოთმინებით ვითმენდით და ვუთმობდით აფხაზურ მხარეს რუსული სცენარით გაწერილ ყოველგვარ ჭირვეულობას. ძალიან ბევრი პროვოკაცია მზადდებოდა იმისთვის, რომ ქართველებს მოთმინების ფიალა ავსებოდათ და ერთ მშვენიერ დღეს ეფეთქათ...

– მაგალითად?

– წვრილმანებს არ შევეხები, თუმცა ყოველი მნიშვნელოვანი წვრილმანისგან შედგება, მაგრამ ყველაზე გამაოგნებელი და აღმაშფოთებელი ქართველთათვის იყო 1989 წლის ცნობილი „ლიხნის წერილი“, რომელსაც სეპარატისტულად განწყობილი რამდენიმე ათასი აფხაზი აწერდა ხელს და რომლის მიხედვითაც ქართველები, თურმე, მუდამ ჩაგრავდნენ აფხაზ ხალხს, ამიტომაც ითხოვდნენ ქართველებისგან დამოუკიდებლობას... ეს უკვე იყო საკმაოდ სერიოზული საბაბი იმისთვის, რომ აფხაზეთში მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულიყო.... ხალხში მღელვარება იყო, თუმცა ქართველები ცდილობდნენ არ გამოეხატათ.... მრავლის მიმანიშნებელი ფაქტი იყო ისიც, რომ ქართველს უკვე აფხაზეთში საცხოვრებელ მისამართზე ჩაწერის უფლება არ ჰქონდა.... მიღებული იქნა ოფიციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც საპასპორტო განყოფილებებში მომუშავე არც ერთ ქართველს არ უნდა ჰქონოდა ბეჭედი...

– რატომ დაუშვა ქართულმა დეპუტაციამ მსგავსი უკანონობა?

– ეს მანამდე „მოესწრო“. უმაღლესი საბჭოს არჩევნები 1991 წელს ჩატარდა. ამას ისიც დაემატა, რომ 1990 წელს ე.წ. აფხაზური გვარდია ჩამოყალიბდა. ეს იყო უკანონო ფორმირება. რახან ჩვენ ჯერ კიდევ ერთიანი სახელმწიფოს წარმოვადგენდით, ჯარიც ერთი უნდა ყოფილიყო. რეგიონებში სხვა შეიარაღებული წარმონაქმნი აბსურდული და უკანონო იყო. სხვათა შორის, ამ გვარდიის დისლოკაციის ადგილი იყო აგუძერაში.

– კი მაგრამ, კანონიერ ხელისუფლებას არ უცდია უკანონო გვარდიის შექმნის შეჩერება?

– ადგილობრივ ქართველთა პროტესტზე აფხაზებმა განაცხადეს, რომ ნებისმიერ ქართველს შეუძლია იქ მსახურება, ანუ „მიგვიწვიეს“ აფხაზურ გვარდიაში... რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, მაშინ იქ ამისთვის არავის არ სცხელოდა, ვითარება თბილისში ისედაც დაძაბული იყო, სამოქალაქო ომი მწიფდებოდა... ისტორიამ მრავალი სამარცხვინო ფაქტი შემოგვინახა ქართველთა შინაომების შესახებ და მოგეხსენებათ, რა ჭირიცაა ეს არა მარტო ქართველთათვის, საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნისთვის.... მიუხედავად არაერთი მიმართვისა ცენტრალური ხელისუფლებისადმი – მიექციათ ყურადღება აფხაზეთში მიმდინარე განუკითხაობისათვის, რასაც, წესით, სავალალო შედეგი უნდა მოჰყოლოდა, ყური არავინ გვათხოვა.... მახსოვს, როცა თბილისში, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მიტინგები იმართებოდა, აფხაზეთიდან დელეგაცია ჩავიდა კანონიერი პრეზიდენტის დასაცავად და აღშფოთებულებმა განვაცხადეთ: „ახლა შინაომების დრო არ არის, შეიძლება აფხაზეთი დავკარგოთ!“ ამის პასუხად ირაკლი წერეთელმა განაცხადა: „ახლა მთავარია, ეს სატანა (ზ.გამსახურდია) მოვიცილოთ, აფხაზეთს კი ნებისმიერ დროს დავიბრუნებთო“... ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც მესამე ძალას აწყობდა... 1989 წელს 9 აპრილის მერე ჩემმა აფხაზმა თანამშრომელმა, რომელთანაც ვმეგობრობდი, ნიშნის მოგებით მომაძახა: „ხომ ხედავ, რაც მოგივიდათ!“ თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ასე არ ფიქრობდა. დღესაც არაერთი აფხაზი ძალიან თბილად მხვდება.... 1989 წელს აფხაზეთის უნივერსიტეტის ცნობილ მოვლენებს წინ უსწრებდა გაგრაში დაკრძალვაზე მყოფ სტუდენტებზე თავდასხმა; უნივერსიტეტის აფხაზ ლექტორ-მასწავლებელთა ანტიქართული პუბლიკაციები; სხვადასხვა სახის კონფლიქტები როგორც ლექტორებს, ასევე სტუდენტებს შორის... უნივერსიტეტი გაიყო. ამას მოჰყვა 1989 წლის ივლისის მოვლენები. შეიძლება თანმიმდევრობას არ ვიცავ, მაგრამ ასევე გამოუსწორებელი შეცდომა იყო თეატრის და ფეხბურთის გუნდის გაყოფა. მწერალთა კავშირიც გაიყო. აფხაზური „აიდგილარა“ ხომ ნამდვილ კრაზანას ბუდეს წარმოადგენდა თავისი ანტიქართული გამოხტომებით და აგრესიულობით... როცა ქართველები ვიტყოდით, სირცხვილია ძმებს შორის ასეთი ურთიერთობებიო, აფხაზები გვპასუხობდნენ – რა დაგიჩემებიათ ეს ძმები, ძმები, თქვენისთანა ძმები ბევრი გვყავს ჩინეთშიცო... დამოუკიდებლობის მიტინგებზე აფხაზებს უხუცესები გამოჰყავდათ, რომლებიც ითხოვდნენ აფხაზეთის მიერთებას ხან კრასნოდართან, ხანაც კრასნოიარსკთან... ანუ ხანდაზმული უხუცესები „გეოგრაფიული ლაფსუსებით“ ახმოვანებდნენ ველიკოდერჟავულ ლოზუნგებს... გეცოდინებათ, ალბათ, სუსლოვის ცნობილი გეგმა, თუ როგორ უნდა გაეღვივებინა მოსკოვს შუღლი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ამავე გეგმის მიხედვით ქართველებისთვის უნდა დაეპირისპირებინათ მეგრელები და სვანები, მერე კი რუსებს შუამავლის როლი უნდა ეკისრათ.... სუსლოვის ეს გეგმა ხუთიანზე ამუშავდა აფხაზეთში: – 1968 წლიდან, 8-10 წლის ინტერვალით პერმანენტულად იძაბებოდა გარედან ურთიერთობა აფხაზებსა და ქართველებს შორის. აფხაზები ითხოვდნენ იმაზე ბევრად მეტს, რაც საბჭოთა კავშირის სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებს გააჩნდათ და ყოველი დაკმაყოფილების შემდეგ კიდევ უფრო მეტად ჭირვეულობდნენ. არ დაგავიწყდეთ, ეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ხდებოდა და საქართველოს ხელისუფლება ამის წინააღმდეგ არაფერს აკეთებდა... ამდენი რამის დათმობა არ შეიძლებოდა. მაშინვე უნდა ეღონა ხელისუფლებას რამე.... მერე უკვე, როგორც იტყვიან, ომიც შორს აღარ იყო.

– ასეთი დაძაბული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ფონზე შეიარაღებული ფორმირებების შეყვანა ხომ კიდევ უფრო მეტად გაართულებდა სიტუაციას აფხაზეთში? იქნებ ჯობდა ამისგან თავის შეკავება?

– ეს ჯარი ვინმეს შესაშინებლად კი არ შესულა იქ! იძარცვებოდა აფხაზეთში შემოსული მატარებლები, მათ შორის სომხეთში მიმავალი. სწორედ რკინიგზის მაგისტრალის დასაცავად მოითხოვა თავად ვ.არძინბამ ამ ჯარის შემოყვანა. მან ეს სესიაზეც განაცხადა: „მე ტელეფონით ვესაუბრე შევარდნაძეს, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ჩვენი ძალებით მატარებლების დაცვას, ტვირთი კი ფაქტიურად მეზობელი ქვეყნების საკუთრებაა, ამიტომაც მივეცი თანხმობა შსს შენაერთების შემოყვანაზე.“ ამ სიტყვების ჩანაწერიც არსებობს, არსებობდა, ყოველ შემთხვევაში... არძინბას ამ მოთხოვნას იმთავითვე არ დაეთანხმნენ ქართველი დეპუტატები, რადგანაც გრძნობდნენ, რომ ეს მახეს უფრო წააგავდა, ვიდრე რკინიგზის დაცვას...

– ანუ, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ფაქტიურად არძინბამ შემოიტყუა ქართული ჯარი აფხაზეთში და მოახდინა გასროლის პროვოცირება, რაც შემდეგ ომის საბაბი გახდა?

– რა თქმა უნდა! არძინბა ყოველთვის გაიძახოდა, რომ ომი გარდაუვალია. სანამ სისხლი არ დაიღვრება, აფხაზეთს ყურადღებას არავინ მიაქცევსო... მაგრამ ადგილობრივი ქართველების ჩათრევა ამ საქმეში არძინბამ ვერაფრით ვერ მოახერხა – ყველა მცდელობა ქართველების კონფლიქტში ჩათრევისა უშედეგოდ მთავრდებოდა. სამხედრო კომისარიატიდან ქართველები გამოდევნეს, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში ე.წ. აფხაზური გვარდია ჩააყენეს და ქართველი ეროვნების ხელმძღვანელ პირებს არ უშვებდნენ, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეშერის ექსპერიმენტული მეურნეობის ფაქტიურად ოკუპაცია მოახდინეს, მაგრამ ქართველების მოთმინების ფილა, თურმე, უძირო ყოფილა... ბოლო აკორდი იყო ა.ანქვაბის, ამჟამად დე ფაქტო პრეზიდენტის შსს-ში გამინისტრების ფაქტი, თუმცა აქაც მოთმინებით დამთავრდა ინცინდენტი. ანქვაბი ტანკებით და ბეტეერებით მიაცილეს ახალ სამუშაო ადგილზე, რათა ყოფილი მინისტრისგან, გივი ლომინაძისგან გადაებარებინა სამსახური. წარმოიდგინეთ, ასეთ ექსტრემალურ მდგომარეობაშიც რომ ცივი გონებით იმოქმედებ და არ აჰყვები ველურ საქციელსა და გამოხტომებს.... თუმცა ეს ჩვენთვის ჩანდა მაშინ ველური, თორემ ტანკით მისული „მისიონერები“ დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ შს მინისტრი, რომელსაც იარაღის ტარების უფლება ჰქონდა, ამ უგვანო საქციელს საკადრის პასუხს გასცემდა.... მოკლედ, ყველანაირად ცდილობდნენ ადგილობრივ ქართველებსა და აფხაზებს შორის არა მარტო სიტუაციის დაძაბვას, არამედ ტყვიის გავარდნას, მაგრამ არაფერი გამოვიდა... ამიტომაც მოიფიქრა არძინბამ ქართული ნაწილების შემოყვანა, რასაც მისი გაანგარიშებით, აფხაზური მხარე სადმე მაინც „მზად დახვდებოდა“. 14 აგვისტოს თავად ურეკავდა რაიონების ხელმძღვანელებს და ავალებდა მიეცილებინათ შეიარაღებული ნაწილები შემდეგი რაიონის საზღვრებამდე და ასე უნდა მისულიყვნენ ბოლო პუნქტამდე... მაგრამ ოჩამჩირეში, სოფელ ოხურეისთან აფხაზური მხრიდან მოხდა გასროლა, რომლის პირველი მსხვერპლი ქართველები გახდნენ... არძინბას გეგმა – „პირველებს ქართველებს გაასროლინებთო“ შეცვლილი ფორმით განხორციელდა... 1992 და 2008 წლების აგვისტოს ომები ერთი მანქანის გამოჩარხულია: როგორც 21 წლის წინ, ისევე 2008-შიც მედვედევმა საქართველოს დააბრალა ომის პროვოცირება, ნამდვილი მიზანი კი მან 2011 წელს რუსეთის 58-ე არმიის სამხედრო კონტინგენტთან შეხვედრისას აღიარა, „რომ არ ყოფილიყო ომი საქართველოსთან, რუსეთის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, ნატოში რამდენიმე ქვეყანასთან ერთად საქართველოსაც მიიღებდნენ“. იცით რა, რუსეთი ჯერ კიდევ იმპერიაა დემოკრატიული კლიშეებით! მათ აფხაზებიც ისევე აგვიმხედრეს ქართველებს, როგორც პირველი მსოფლიო ომის წინ სომხები თურქებს: რუსეთის მთავრობამ თურქეთში თავისი სამხედრო მოქმედებების გასაადვილებლად თურქეთში მცხოვრებ სომხებს აჯანყება ურჩია, სამაგიეროდ დაპირდა, რუსეთის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებლობას. გეცნობათ სცენარი? სხვა საქმეა, რომ იქ უკუღმა დატრიალდა მოვლენები... სომხებმა ეს პოლიტიკური ფანდი გულწრფელად მიიღეს და რუსების რჩევა აასრულეს კიდეც. განრისხებულმა თურქებმა სომხები ამოჟლიტეს... პოლიტიკაზე ცვალებადი არაფერია... თურქებზე განაწყენებული სომხები დღესაც რუსეთს ემეგობრებიან, არადა, მათი წაქეზებით მოხდა სომეხთა გენოციდი.... რუსეთს დღეს აფხაზეთზეც შეუძლია უარის თქმა, თუკი სარფიან გარიგებას ექნება ადგილი...

– ქალბატონო რაისა, დავუბრუნდეთ საჯარისო შენაერთების აფხაზეთში შემოყვანას, რომელიც თავად არძინბამ ჯერ მოითხოვა და შემდეგ კი ქართველების საწინააღმდეგოდ გამოიყენა. ხომ არ აჯობებდა, საქართველოს სახელმწიფო მეთაური შევარდნაძე ჩამოსულიყო აფხაზეთში და ადგილზე ოფიციალური შეთანხმებით განემტკიცებინა ასეთი მნიშვნელოვანი „მოთხოვნა“?

– რა თქმა უნდა, ეს შეცდომა იყო, მაგრამ შევარდნაძეს ვერ მოესვლებოდა აფხაზეთში ვერც იმის გამო, რომ აბსოლუტური უმრავლესობით არჩეული კანონიერი პრეზიდენტი გადააგდო, რომელსაც აფხაზეთში ჰყავდა მხარდამჭერები, და ვერც იმის გამო, რომ არძინბასთან მისვლაში „პირველობის“ მედიდურობა უშლიდა ხელს. მე არ მოვერიდები იმის თქმას, რომ აფხაზეთის ტრაგედიაზე პასუხისმგებელი არის შევარდნაძე და ისტორია ამას არ დაივიწყებს. როცა შეიძლებოდა არძინბასთან მოლაპარაკება შუამავლის გარეშე, მაშინ მან ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა, არ გამოიყენა.... ეს არის მისი უდიდესი შეცდომა! როცა სახელმწიფოს მეთაური ხედავს, რომ გარედან მტერი ათასნაირი ხრიკებით ცდილობს საქართველოს ტერიტორიის მოგლეჯვას, თვითონაც ხომ უნდა სცადოს რაღაცა მის შესანარჩუნებლად ტაქტიკურად, დიპლომატიურად? ჩვენმა ხელისუფლებამ რა სცადა? ომი, რომელსაც აფხაზეთის მოსახლეობამ ცამეტი თვე გაუძლო? ასეთ უკუღმართ მდგომარეობაში, როცა გარედან იმპერიული მონსტრი გარემევს და შიგნით კიდევ შენი „ღვიძლი მტრები“ მრავლად გყავს, აფხაზეთის ომი ისევე გარდაუვალი იყო, როგორც მისი წაგება. და თუ რატომ იყო წაგება გარდაუვალი, ამაზე 27 სექტემბერს ვილაპარაკოთ.

– ქალბატონო რაისა, თქვენს აფხაზ მეგობრებთან თუ გისაუბრიათ აფხაზეთის „დამოუკიდებლობაზე“?

– როგორ არა და იმასაც სწუხან, რომ არანაირი დამოუკიდებლები არ არიან.... დე ფაქტო ხელისუფლების სეპარატისტულ ჯგუფს არ ვგულისხმობ... ხალხის ნაწილი სხვა აზრზეა ე.წ. დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მე მახსოვს, ომის წინა პერიოდში დაკრძალვაზე ვიყავით გუდაუთის რაიონში. ეს ადგილი სეპარატისტულობით ყველაზე გამორჩეული რეგიონი იყო მაშინ... იქაც კი აფხაზი ხალხი გვეუბნებოდა, რომ ქართველების გარეშე ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება. მაგრამ ისიც მინახავს, როგორი სიამაყით ეუბნებოდა 7-8 წლის აფხაზი ბიჭი თავის დედას, მე ქართველის გვამზე ვცეკვავდიო. ეს იყო ომის საშინელი მანქანა, რომელიც ჩარხავდა ბოროტებას, შუღლს, სიკვდილს და ამ განადგურებისგან გამოწვეულ სატანისეულ სიხარულს. ეს მანქანა რუსული იყო და რუსეთის იმპერიის საქმეს აკეთებდა.... მე მჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს, აფხაზები დაინახავენ რუსეთის ნამდვილ ველიკოდერჟავულ სახეს და თანდათან გაიზრდება იმათი რაოდენობა, რომელთაც ესმით, რომ ქართველების გარეშე მათ მომავალი არ გააჩნიათ!

სოსო ცისკარიშვილი: „გიორგი მარგველაშვილს წინ ძნელი გზა ელოდება“

შორენა გონგლაძე

— დავარქვათ ამას ოცნება, ოღონდ არა ქართული, არამედ ბატონი ზურაბის ოცნება! — ასე ეხმაურება ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას.

როგორც ცისკარიშვილმა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტი პასუხისმგებლობით აღსავსე უნდა იყოს.

– პრეზიდენტი პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი უნდა იყოს. თანამდებობასა და ამბიციებს რა გამოლევს, მაგრამ, მოდით, ამ ხარატიშვილის შესაძლოა საპრეზიდენტო კანდიდატობას დავარქვათ „ოცნება“, ოღონდ არა „ქართული ოცნების“, არამედ ზურაბ ხარატიშვილის ოცნება, – აცხადებს ექსპერტი. მისივე თქმით, ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის გუნდის წევრია. ექსპერტის აზრით, ხარატიშვილმა მისი გადადგომით სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგანაც მოვიდა დრო, რომ წესიერი ადამიანები მართავდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

– ცესკოს თავმჯდომარე, რომლის წასვლა-არწასვლის საკითხი დგას, დღეს გონიერი ადამიანია და ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, როგორ მოხდა ის ამ თანამდებობაზე. ის გახლდათ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოთავაზებული, ასოცირდებოდა ვანო მერაბიშვილთან, რომლის გაერთიანებაშიც ის ფინანსური საკითხებით იყო დაკავებული. ამიტომაც ადამიანი, რომელიც მაღალი ნდობის პირია ნაციონალური მოძრაობისთვის, შემთხვევით ასეთ ნაბიჯებს არ გადადგამს. ამიტომაც ამ ადამიანისთვის პირველ შემთხვევაში ცნობილი იყო ამ არჩევნების შედეგს ნაციონალური მოძრაობა გააპროტესტებდა და მისმა მეგობრებმა გააფრთხილეს, რომ სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს და სჯობს, სხვა იყოს იარლიყდაკიდებული გამყალბებელი. ახლანდელი ცესკოს თავმჯდომარე, მისწინამორბედთან შედარებით, მართლაც ანგელოზი იყო, მაგრამ იყო მცდელობები, გასული არჩევნები წარმოეჩინათ, როგორც იდეალური. მე ვთვლი, რომ არ უნდა გახდეს პრობლემა, ამ სისტემაში შეირჩეს ადამიანი, რომელსაც გააჩნია სინდისი, – აცხადებს ცისკარიშვილი და დასძენს, რომ ხარატიშვილის გადადგომაში ცუდი არაფერი არ არის.

სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიის დასაწყისი პრეზიდენტის ინაუგურაციას მოგაგონებდათ. მისივე თქმით, მარგველაშვილს საკმაოდ დაძაბული გზა ელის.

არასამთავრობოებს ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე ერთი კანდიდატურა ეყოლებათ

შორენა გონგლაძე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ რამდენიმე ორგანიზაციასთან ერთად ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე ერთი კანდიდატი ეყოლება. ამის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ვფიქრობთ, ალბათ, ჩვენც წარმოვადგენთ ჩვენს კანდიდატს. დღევანდელი მდგომარეობით, რამდენიმე ადამიანზე ვფიქრობთ; ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, თუმცა ჩვენ და ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები, ალბათ, ერთ კანდიდატს დავასახელებთ. შესაბამისად, ვფიქრობთ, ეს იქნება მართლაც ის ადამიანი, რომელიც შეძლებს საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას ზუსტად ამ პერიოდში, როდესაც არჩევნებამდე ცოტა დროა დარჩენილი. მთავარია, რომ ეს ადამიანი იყოს მიუკერძოებელი, არ იყოს დაკავშირებული არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან, უნდა იყოს პროფესიონალი და ძალიან პრინციპული. პრინციპულობა არის ზუსტად ის, რაც სჭირდებოდა და სჭირდება ყველა საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, – აცხადებს გიგაური.

ეკა გიგაური მათი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნებზე უწყებების განცხადებებს პასუხობს. როგორც გიგაურმა განაცხადა, ანგარიშში ასახული ციფრები სამინისტროების მიერ მიწოდებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზეა შექმნილი.

მისი თქმით, არჩევნების შემდეგ საჯარო სამსახურში გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურიდან წასვლის საფუძველი ძირითადად მათივე განცხადება იყო. როგორც გიგაური აღნიშნავს, სწორედ ეს გახდა ეჭვის საფუძველი.

– როდესაც ასეთი უმუშევრობაა ქვეყანაში, გაუგებარია, რატომ ტოვებენ ეს ადამიანების სამსახურებს. ისინი საუბრობდნენ ზეწოლებზე. ჩვენ ეს დავაფიქსირეთ, მაგრამ ამას სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. უფრო მეტი ადამიანია აყვანილი სამსახურში, ვიდრე დათხოვნილი. ვერ გეტყვით, რის საფუძველზე აიყვანეს ეს ადამიანები სამსახურში, – აცხადებს გიგაური.

ანზორ საკანდელიძე: „არქიტექტორებმა ძალიან გაიჯეჯილეს“

მერი ნამორაძე

მშენებელთა ეთი ნაწილი არქიტექტორებს უპირისპირდება და 10 წლის წინ მშენებლობის სამინისტროს გაუქმებაში ღომის წილს სწორედ არქიტექტორებს მიაწერს. ოგოოსა ჯავშიხის თავმჯდომარემ, ასოციაციის „მშენებლობა ფაილინფიაციის გარემე" ხელმძღვანელმა, ყოფილმა პარლამენტარმა ანზორ საკანდელიძემ „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა, სამშენებლო საქმიანობის პროექტზე მუშაობისას მშენებელთა აზრი ძალიან არ გაუთვალისწინებიათ და ამ საქმიდან ისეთი არაფერი გამოვა, რაც მშენებლობას თუ სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვას წაადგება.

– ბატონო ანზორ, რატომ ფიქრობთ, რომ მშენებლობის კოდექსი, რომელზედაც ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს, საქმეს ნაკლებად წაადგება და სამინისტრო კოდექსის რეალურად ამოქმედებას თავს ვერ გაართმევს?

– ეკონომიკის სამინისტრომ ქართველ არქიტექტორთა რჩევით გამართა გერმანელი სპეციალისტების მიერ მომზადებული „სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ სამუშაო განხილვა. ძირითადი მომხსენებელი გახლდათ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ექსპერტი გენდტ ვიტნერი. ამ საქმიდან არაფერი გამოვა იმიტომ, რომ ეკონომიკის სამინისტრო არ არის ის სამინისტრო, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს. ამას ამ სამინისტროშიც გრძნობენ და ალბათ, ამიტომ შეცვალეს კურატორი. ახალი კურატორი საკმაოდ მომზადებული და ერუდირებული ახალგაზრდაა, არ მინდა მას გული გავუტეხო, მაგრამ ეს არის წყლის ნაყვა. ამ კოდექსმა უნდა მოაწესრიგოს საქართველოს მშენებლობის ზოგადი კანონმდებლობა, რომლის დამუშავებაზე სამინისტრო რამდენიმე წელია ამაოდ ჯახირობს. ალბათ, რამდენიმე წელიწადი კიდევ იჯახირებს. ვთქვათ, დამთავრდა ჯახირი, მაგრამ ეს ნაჯახირევი კოდექსი პრაქტიკულად მაინც ვერ ამოქმედდება. მის ასამოქმედებლად პარალელურ რეჟიმში საჭირო იქნება გაცილებით უფრო შრომატევადი არარსებული ქართული სამშენებლო სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, უამრავი კანონქვემდებარე აქტის ამოქმედება, რომელთა დასამუშავებლად გაცილებით მეტი დრო და ენერგია დაიხარჯება, ვიდრე ამ კოდექსის დამუშავებაზე დაიხარჯა და ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ვთქვათ, რამდენიმე წელიწადში ეს უდიდესი ბარიერიც გადაილახა, ვინ არის ამ კოდექსის რეალურად ცხოვრებაში გამტარებელი და გამკონტროლებელი? ეკონომიკის სამინისტრო? ეს გამორიცხულია. ეკონომიკის სამინისტრომ 2010 წლის 1 იანვრიდან აამოქმედა კანონი საქართველოში შენობა-ნაგებობათა სეისმომედეგობის ერთი ბალით გაზრდის შესახებ, მაგრამ დღემდე აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებიათ გაზრდილი 8-9 ბალიანი მოსალოდნელი კატასტროფული მიწისძვრებისგან ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად. ასევე არაფერი გაუკეთებია მოსახლეობის იმ მომაკვდინებელი სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დამუშავებისა და ამოქმედებისთვის, რომელთა დაუცველობით გამოწვეული დაავადებებისგან დღეს მსოფლიოში გარდაცვალების 70%-სწორედ ამ მიზეზზე მოდის. საქართველოში კი ყოველდღიურად ბევრი ავადდება, ბევრს ავადმყოფობა უმძიმდება და ბევრი კვდება. ამ დროს კი კოდექსში საერთოდ არაფერია ნათქვამი ქვეყნის სეისმოუსაფრთხოების და მოსახლეობის სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაზე. სამაგიეროდ ეს კოდექსი გადატვირთულია არქიტექტურული დებულებებით, ტერმინებითა და წიაღსვლებით, ამ კოდექსში დაახლოებით 80% საუბარია არქიტექტურაზე და მხოლოდ 20 პროცენტია მშენებლობაზე. გამომსვლელთა დროც ასე განაწილდა – 80 პროცენტზე მეტი ისაუბრეს არქიტექტორებმა და 20 პროცენტზე უფრო ნაკლები მშენებლებმა.

– რა პრობლემას ხედავთ არქიტექტორთა აქტიურობაში?

– არქიტექტორთა ასეთი გაზრდილი ამბიციები და ძალადობა მშენებლებზე არახალია, ძველია. მათ ავიწყდებათ თავიანთი რეალური წილი ერთიან სამშენებლო კომპლექსში, რომელიც შედგება შემდეგი დარგებისგან: მეცნიერება, დაპროექტება, სამშენებლო ინდუსტრია და მშენებლობა. ამ 4 დარგიდან არქიტექტურას უკავია მხოლოდ არცთუ ყველაზე დიდი დარგის, დაპროექტების დაახლოებით 30 პროცენტი. რაც შეეხება არქიტექტორთა 23 წლიან დამანგრეველ ანტისამშენებლო სპარატიზმს, სამწუხაროდ, ამ საბედისწერო ისტორიის სათავეებთან მეც ვიდექი და არქიტექტორთა გაჯეჯილებაში მეც მიმიძღვის წვლილი, რომ ვიყავი 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე. ურთულესი პერიოდი იყო, იშლებოდა მშენებლობის, სასოფლო მშენებლობისა და საშენი მასალების 3 სამინისტრო. ასევე საგზაო დეპარტამენტი, საქსპეცმონტაჟის საქჰიდრომშენისა და წყალმშენის უზარმაზარი გაერთიანებები და მათ ბაზაზე უნდა შექმნილიყო ერთი სამინისტრო. მშენებლობის კომისიაზე გადავწყვიტეთ ამ გაერთიანებული სამინისტროსათვის გვეწოდებინა მშენებლობის სამინისტრო და მინისტრადაც მშენებელი დაგვენიშნა. თავი გაიგიჟეს არქიტექტორებმა, სად არ ირბინეს, ვინ არ შეანუხეს და მიაღწიეს სამინისტროს დასახელებაში სიტყვა „არქიტექტურის“ ჯერ ჩაკვეხებას, შემდეგი სირბილით კი ამ ჩაკვეხებული სიტყვის წინ გადმოწევას. ასე მივიღეთ არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტრო. უფრო მეტიც, არქიტექტორებმა ბოლომდე იძალადეს მშენებლებზე და მინისტრადაც არქიტექტორი დანიშნეს. მოხდა წარმოუდგენელი უსამართლობა, ამ გაერთიანებული სამინისტროს ზემოთ ჩამოთვლილი დამფუძნებელი მშენებელი სუბიექტების მიერ შექმნილი პროდუქციის ჯამურ წილში არქიტექტორების მიერ შექმნილი პროდუქციის წილი იყო ზღვაში წვეთი, მაგრამ ამ წვეთმა იძალადა და აჯობა ზღვას. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 10 წლის წინ საქართველოში უაპელაციოდ შეძლეს არქიტექტორთა პირველკაცობაზე დაფუძნებული არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს გაუქმება, რაც არ მომხდარა არა ერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში. იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა იუშენკომ ხელისუფლებაში მოსვლის დროს გააუქმა მშენებლობის სამინისტრო. ამან მშენებლობაში ისეთი ქაოსი, განუკითხაობა და ნგრევა გამოიწვია, რომ ერთ წელიწადში იძულებულნი გახდნენ სასწრაფოდ აღედგინათ მშენებლობის სამინისტრო. ჩვენ კი 10 წელიწადია გავაუქმეთ მშენებლობის სამინისტრო, 10 წელიწადია უმოწყალოდ ვანგრევთ მშენებლობას და პასუხსაც არავის სთხოვენ, აღარ უნდა მივბაძოთ უკრაინელებს და 10 წლის შემდეგ მაინც აღარ უნდა აღვადგინოთ მშენებლობის სამინისტრო? კიდევ ერთხელ ვიმეორებთ უდავო ჭეშმარიტებას, რომ მშენებლობის სამინისტროს, როგორც ქვეყნის სეისმო-ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის მთავარ გარანტს, ალტერნატივა არ აქვს და არსებობს მსოფლიოს ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაშიც, რაც დაგვიდასტურა ბატონმა გენდ ვიტნერმაც.

– თქვენ ახალ ხელისუფლებას შესთავაზეთ აღედგინა მშენებლობის სამინისტრო, როგორც ჩანს, ნაკლებად იზიარებენ ამ შეთავაზებას?

– ხელისუფლებაში მოსვლისთანავე „ქართულ ოცნებას“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბაზაზე ყოველგვარი ზედმეტი საბიუჯეტო ხარჯების და სამინისტროების გაზრდის გარეშე შევთავაზეთ ამ პრობლემის მოგვარება. კერძოდ, რეგიონული განვითარების სამსახურს ჩაენაცვლება ეკონომიკის სამინისტროს მშენებლობის დეპარტამენტი და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და მშენებლობის დეპარტამენტის ბაზაზე, ისრაელის მოდელის შესაბამისად აღსდგება მშენებლობის სამინისტრო. რეგიონული განვითარების სამინისტრო კი, როგორც ადრე იყო ნავარაუდევი, გადავა ეკონომიკის სამინისტროში.

ხელისუფლება აშკარად აცდენილია რეალობას. რეალობა კი ასეთია, მშენებლობის სამინისტროს გაუქმებიდან 10 წლის შემდეგ მშენებლობა აბსოლუტურად დაშლილია აგურაგურ, რომლის აღდგენა გამორიცხულია, სხვა რომელიმე სამინისტრომ მოახერხოს მშენებლობის სამინისტროს გარდა. აქ ჩასატარებელია ჯოჯოხეთური ზღვა სამუშაო და წინასწარ მეცოდება ის პიროვნება, ვინც მინისტრობას დათანხმდება. თუ გვინდა მშენებლობას ოდესმე რამე ეშველოს, მინისტრს მშენებლობის გარდა სხვა არაფერი უნდა ევალებოდეს. ის 24 საათი უნდა ფიქრობდეს მხოლოდ მშენებლობაზე, იყოს მთავრობის წევრი მთავრობის სხდომებზე აყენებდეს გადაუდებელ პრობლემას და პრობლემების მოგვარებაში გვერდში უნდა დაუდგეს მთელი მთავრობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, გადავარჩინოთ მშენებლობა, მოსალოდნელი კატასტროფული სეისმური ნგრევებისგან გადავარჩინოთ საქართველო და უკვე დამდგარი მომაკვდინებელი სამშენებლო-ეკოლოგიური საფრთხეებისგან გადავარჩინოთ ქართველი ხალხი. გვაქვს ინფორმაცია, რომ არქიტექტორებმა თავიანთი სასარგებლო ინტერპრეტაცია გაუკეთეს ჩვენს შეთავაზებას და სურთ დააარსონ რეგიონული განვითარებისა და სივრცითი დაგეგმარების სამინისტრო, რაც არაფერს შეცვლის, რადგან არქიტექტორები ძველებურად იქნებიან დომინანტები, მშენებლები კი კვლავ ძალაუფლებააყრილები. ეს ყველაფერი თითქოს შეთანხმებულია ბატონ ბიძინა ივანიშვილთან, რომელსაც 10 თვეა უმალავენ ჩვენს ოფიციალურ წერილებს, სადაც არგუმენტირებულადაა საუბარი ქართველი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის, პირდაპირი გაგების, ამ პრობლემის მოგვარების გზებზე. მივმართავ არქიტექტორებს, გამოვიდნენ და ღიად თქვან, რა სამინისტროს ქმნიან და რას გააკეთებს ეს სამინისტრო.

– კონკრეტულად რა მოდელს სთავაზობთ ხელისუფლებას?

– ეს იქნება ისრაელის მოდელის შესაბამისი, ერთსუბიექტიანი მშენებლობის სამინისტრო, ჩვენ ვამუშავებთ ამ სამინისტროს მიერ აუცილებლად გასატარებელი რეფორმების პროექტებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს სეისმური უსაფრთხოებისა და ქართველი ხალხის სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვას. ამასთან, ისრაელის მოდელის შესაბამისად, როცა ისრაელის სამინისტროს მშენებლობის უფლება აქვს ააშენოს საკუთარი ძალებით და გაყიდოს ან 20 წლიანი და უფრო მეტი ვადით გააქირაოს მის მიერ აშენებული საცხოვრებელი ბინები. საქართველოს მშენებლობის სამინისტროსაც ეყოლება მძლავრი საკუთარი სამშენებლო კომპანია, რომელიც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვით ჩაერთვება ადგილობრივ სამშენებლო ბიზნესში და მოსახლეობის სასარგებლოდ დაარეგულირებს საცხოვრებელი ფართების საბაზრო ფასებს. ეს დაეხმარება სამინისტროს გაუჩნდეს საკუთარი შემოსავლები, რაც ბიუჯეტისთვისაც იქნება მნიშვნელოვანი შეღავათი. მშენებლობის სამინისტრო აქტიურად ჩაერთვება ასევე დაზარალებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის, მიწისძვრებით დაზარალებულების, ეკომიგრანტების, ბანკების მიერ საცხოვრებელი ბინაწართმეულებისა და რაც მთავარია, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში. გარდა ამისა, ამჟამად ინტენსიურად ამუშავებენ ამ დაზარალებულებზე ზარალის საკომპენსაციო საგადასახადო თამასუქების გაცემის შესაძლებლობის პრობლემას. საგადასახადო თამასუქებით კი შესაძლებელი გახდება დაზარალებულებმა საბიუჯეტო დანახარჯების გარეშე უფასოდ ააშენონ თავიანთი წილი საცხოვრებელი ფართები. ასეთი ეკონომიკური ბერკეტი გვაქვს მოფიქრებული და ეს იქნება ჩვენს მიერ დამუშავებულ-დაპატენტებული მეანაბრეთა ზარალის ანაზღაურების პროგრამის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი.

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათასი ლარი)

ERNST & YOUNG

Ernst & Young LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 243 9375
Fax: +995 (32) 243 9376
www.ey.com/georgia

შპს ერნსტ ენდ იანგი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქ. 44
ტელ: +995 (32) 243 9375
ფაქსი: +995 (32) 243 9376

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კრებსითი ფინანსურ ანგარიშგებაზე

სს "ბითიეი ბანკის" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს -

თანდართული კრებსითი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კრებსით ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, გამომდინარეობს სს „ბითიეი ბანკის" (შემდგომში "ბანკი") აუდიტირებული ანგარიშგებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ გამოვუმვით 2013 წლის 17 ივლისით თათარიღებული უპირობო დადებითი დასკვნა. დასკვნის კვალიფიკაციის გარეშე ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებზე, როგორიცაა არსებითი განუსაზღვრელობა იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა „ბანკი" გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და დაკავშირებულ მხარეებთან „ბანკის" საფინანსო საქმიანობის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კრებსითი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მოთხოვნილ ყველა განმარტებით ინფორმაციას. ამგვარად, კრებსითი ფინანსურ ანგარიშგებასთან გაცნობა არ ნიშნავს ბანკის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან გაცნობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კრებსითი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის 145-ე ბრძანების შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კრებსით ფინანსულ ანგარიშგებაზე იმ პროცედურებზე დაყრდნობით, რომლებიც ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი („ასს") 810-ის „გარიგებები დასკვნის შედგენაზე კრებსითი ფინანსური ანგარიშგების შესახებ" მიხედვით.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული კრებსითი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც გამომდინარეობს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ბანკის" აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებიდან, ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებას, საქართველოს ეროვნული ბანკის 145-ე ბრძანების შესაბამისად.

17 ივლისი, 2013 წ.

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათასი ლარი)

	2012	*2011 გადაანგარიშებული (მე-2 შენიშვნა)*
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	14,733	11,086
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - დაფარვის ვადამდე ფლობილი	384	445
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	308	483
	15,425	**12,014**
საპროცენტო ხარჯი		
სხვა ნასესხები სახსრები	(4,773)	(3,449)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	(2,573)	(1,086)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	(500)	(505)
სუბორდინირებული სესხი	(223)	(228)
	(8,069)	**(5,268)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**7,356**	**6,746**
სესხის გაუფასურების წმინდა რეზერვის გაუქმება	(1,982)	2,636
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის გაუქმების შემდგომ	**5,374**	**9,382**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	1,051	1,062
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:		
- გარიგებებიდან	1,218	1,330
- საკურსო სხვაობებიდან	(168)	(55)
წმინდა ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	(156)	(748)
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	(121)	-
წმინდა ზარალი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	(78)	(70)
სხვა შემოსავალი	777	973
არასაპროცენტო შემოსავალი	**2,523**	**2,492**
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(5,420)	(4,706)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,437)	(4,772)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,558)	(1,727)
სხვა გაუფასურება და რეზერვები	(564)	11
არასაპროცენტო ხარჯი	**(11,979)**	**(11,194)**
მოგების გადასახადით დასაბეგრი (ზარალი)/მოგება	**(4,082)**	**680**
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	464	145
წლის (ზარალი)/მოგება	**(3,618)**	**825**

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათასი ლარი)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	2012	*2011 გადაანგარიშებული*	*2010 გადაანგარიშებული*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,305	6,491	12,843
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	9,770	5,774	8,185
კლიენტებზე გაცემული სესხები	75,409	71,564	48,221
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:			
- გასაყიდად არსებული	20	-	40
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	2,873	3,533	4,371
ძირითადი საშუალებები	17,335	20,799	22,509
საინვესტიციო ქონება	10,478	11,822	11,245
არამატერიალური აქტივები	415	592	593
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	199	198	198
სხვა აქტივები	1,923	2,108	1,738
სულ აქტივები	**126,727**	**122,881**	**109,943**
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	6,273	8,598	4,009
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	35,228	27,236	19,947
სხვა ნასესხები სახსრები	49,802	45,452	44,935
სუბორდინირებული სესხი	2,507	2,528	2,683
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	959	1,717	1,908
ანარიცხები	30	100	218
სხვა ვალდებულებები	821	862	421
სულ ვალდებულებები	**95,620**	**86,493**	**74,121**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	30,000	30,000	30,000
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	3,302	5,207	5,579
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება	(2,195)	1,181	243
სულ კაპიტალი	**31,107**	**36,388**	**35,822**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**126,727**	**122,881**	**109,943**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად „ბანკის" დირექტორთა საბჭოს მიერ:

კაირატ კენეგარინ
გენერალური დირექტორი

ნატალია მოდრეკილიე
მთავარი ბუღალტერი

17 ივლისი, 2013 წ.

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათასი ლარი)

	2012	*2011 გადაანგარიშებული (მე-2 შენიშვნა)*
წლის (ზარალი)/მოგება	**(3,618)**	**825**
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
შენობა-ნაგებობების გადაფასებით მიღებული ზარალი	(1,957)	(305)
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	294	46
წლის სხვა სრული ზარალი, გადასახადის გათვალისწინებით	**(1,663)**	**(259)**
წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი	**(5,281)**	**566**

შსს-მ „პრივატბანკის" დაყაჩაღების ფაქტზე სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში მკვლელობისთვის ნასამართლევი, 1973 წელს დაბადებული სეიფ ს., 1985 წელს დაბადებული რამინ ო. და 1984 წელს დაბადებული რაის კ., ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 8 აგვისტოს, 08:25 საათზე „პრივატბანკი"-ს მარნეულის ფილიალზე შეიარაღებული თავდასხმა განახორციელეს. თავდამსხმელებმა ბანკის მოლარეს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით სალარო გააღებინეს, საიდანაც 110 000 ლარი, 80 000 დოლარი და 5000 ევრო გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა სეიფ ს. სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში იმ დროს დააკავეს, როცა ის ქვეყნის დატოვებას ცდილობდა. სეიფ ს.-ს მეგობრის სახლიდან ბანკიდან გატაცებული თანხის ნაწილია ამოღებული. რაის კ. და რამინ ო. კი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მარნეულში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავეს. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე, სსსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

სამართალდამცველებმა დაკარგული თეონა ჩარგაზია იპოვეს

ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა რამდენიმედღიანი ძებნის შედეგად ზუგდიდში მცხოვრები, 24 წლის თეონა ჩარგაზია იპოვეს. გოგონა 28 ივლისს, დასთან ერთად ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, საიდანაც მოულოდნელად გაუჩინარდა.

ოჯახის წევრებმა სამართალდამცველებს დახმარებისთვის მაშინვე მიმართეს. ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად თეონა ჩარგაზია დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფელ ნასაგურში იპოვეს.

ამჟამად მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცველებმა გოგონა ოჯახის წევრებს ჩააბარეს.

ნიუსპრესი

ანა ფრანკის აქტუალური ისტორია გალერეაში გამოფინეს

ეკა ირემაშვილი

ანა ფრანკის აქტუალური ისტორია ქუთაისში მდებარე დავით კაკაბაძის სახვითი ხელოვნების გალერეაში ორი გამოფენით იქნა წარმოდგენილი: „წერა-კითხვა ანა ფრანკთან ერთად“ და „ანა ფრანკი — აქტუალური ისტორია“. გამოფენები საქართველოს გაეროს ასოციაციამ და ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრმა გახსნეს.

ანა ფრანკი ებრაელი გოგონა იყო, რომელიც ჰიტლერის ოკუპაციის პერიოდში თავს ოჯახით ნაცისტური ტერორისგან ამსტერდამში სამალავში აფარებდა. ის ავტორია განთქმული „ანა ფრანკის დღიურისა“. ეს არის დოკუმენტი, რომელმაც ფაშიზმის სისასტიკეს ფარდა ახადა და რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი.

ანა ფრანკი იმალებოდა სახლის მეორე სართულზე თავის დასთან, მშობლებთან და კიდევ ერთ ებრაულ ოჯახთან ერთად. იმ დროს, როდესაც ებრაელებს და არა მარტო მათ შეუბრალებლად ხოცავდნენ, ანას სჯეროდა, რომ ადამიანები გულის სიღრმეში კეთილები იყვნენ.

ანამ დღიური საჩუქრად მიიღო მამამისისგან, რომელიც დაიმეგობრა და მას კიწი უწოდა. როდესაც გერმანელებმა მათი სამალავი აღმოაჩინეს, ანამ მოასწრო ჩაეწერა დღიურში თხოვნა. ანა ფრანკი კიწის მპოვნელს სთხოვდა, რომ შეენახა დღიური, რადგან მას კიდევ სწამდა, რომ ერთ დროს დაბრუნდებოდა.

ანა ფრანკი 15 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაიღუპა მისი დაც, რომელიც 2 წლით იყო მასზე უფროსი. ანამ შეიძინა მეგობარი, პიტერი, რომელსაც ძალიან დაუახლოვდა. პირველი სიყვარულიც მაშინ მოვიდა. ანა ფრანკს კი ამ ღამაზი სიყვარულიდან შემორჩა პირველი კოცნა და ტკბილი მოგონებები. ანას დედა თვითონ უარს ამბობდა საკუთარ საკვებზე, რათა თავისი შვილებისთვის გაენაწილებინა. როგორც მოწმეები აცხადებენ, ანასა და მის დას ერთ ბნელ ოთახში უწევდათ ცხოვრება. იყო საშინელი სიბინძურე. ანას და, მარგოტი, დაავადდა. ის გარდაიცვალა. რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა ანა ფრანკიც. გადარჩა მხოლოდ ანას მამა. თავის დღიურში ანა ფრანკი მკითხველს მოუთხრობს, თუ როგორ იყვნენ შევიწროებულნი ებრაელები ნაცისტებისგან. ებრაელებს ეკრძალებოდათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიარული. მათ აიძულებდნენ მკერდზე ეტარებინათ ვარსკვლავი. ფაშისტების სოციალური გეგმის ნაწილი იყო საერთოდ ებრაელთა ერის მოსპობა. ანა ფრანკი თვითონ იყო მოწმე, როგორ გაჰყავდათ თავისი მოძმენი საკონცენტრაციო ბანაკებში, საიდანაც ისინი აღარ ბრუნდებოდნენ.

„ანა ფრანკის დღიური“ ქართული საზოგადოებისთვის საკმაოდ აქტუალურია. ამ დღიურის მიხედვით საქართველოს სხვადასხვა თეატრებში სპექტაკლები დაიდგა. ამჯერად კი ქუთაისის დავით კაკაბაძის სახვითი ხელოვნების გალერეაში ორი გამოფენა გაიხსნა, რომელიც განკუთვნილია 10-15 წლამდე მოზარდებისთვის. პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების ისეთი საკითხების გათვითცნობიერება, როგორიცაა ადამიანის უფლებები, მრავალფეროვნება და დისკრიმინაცია. პროექტის ფარგლებში ჰოლანდიურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა „ანა ფრანკის დღიური“, რომელიც დარიგდება საქართველოს 10 ქალაქის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში, ამავე ქალაქებში მოეწყობა „ანა ფრანკის სახლი ამსტერდამიდან“ ქართულენოვანი მოძრავი გამოფენა.

საგანმანათლებლო პროექტი „ანა ფრანკი – აქტუალური ისტორია“ ხორციელდება საქართველოში ჰოლანდიის საელჩოს, საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის ჯანსაღი ცხოვრების წესის ინიციატივის „დონთ ვორი, ბი ჰელსი“, ანა ფრანკის სახლის და საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

გიო ხუციშვილი ბათუმში გადასახლდა

ეკა ირემაშვილი

გიო ხუციშვილი ბათუმში გადასახლდა. ამის მიზეზი მომღერლის კონცერტია, რომელიც მსმენელში ქალაქური სიმღერების შესრულებით არის ცნობილი. საღამო 16 აგვისტოს „სოჰო ლაუნჯში“ გაიმართება. „გიო და ბიჭები“ – ასე ეწოდება კონცერტს, რომელიც არის ქართული ბოსანოვა „ლათინო ბოის ბენდთან“.

გიო ხუციშვილი, რომელიც რამდენიმე თვეა, სპორტის სასახლის დირექტორია, ამ პროექტზე უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად მუშაობს და უკვე შემოქმედებით გუნდთან ერთად ბოლო დეტალებს ათანხმებს. პროექტის სახელწოდებაში, „გიო და ბიჭები“, ბიჭებში „ლათინო ბოის ბენდია“ ნაგულისხმევი, რომელიც ექვსი მუსიკოსისგან შედგება. ბენდის სახელწოდებიდან მარტივი მისახვედრია, რომ მუსიკოსები ლათინოამერიკული ჟანრის მუსიკას უკრავენ, თანაც ბოსანოვას სტილში.

ასეთი ტიპის პროექტის განხორციელება უშუალოდ გიო ხუციშვილს ეკუთვნის. როგორც ირკვევა, ქართული სიმღერების ლათინურ რიტმებზე გადაწყობა ბენდს ადრეც სდომია, თუმცა აქამდე ამ ჩანაფიქრის განხორციელება მათ ვერ შეძლეს. გიო ხუციშვილის კონცერტზე ქართული და ლათინოამერიკული ჟანრის მუსიკის სინთეზით აჟღერდება ყველასთვის კარგად ნაცნობი სიმღერები „თბილისო“, „ნუ ფრთხიალებ, ჩემო ჩიტო“, „ჩემო ცისფერთვალება“ და სხვა ცნობილი ჰიტები.

ირკვევა ისიც, რომ ეს არის ორწლიანი პროექტი, რომელიც სტარტს სწორედ ბათუმში 16 აგვისტოს „სოჰო ლაუნჯში“ აიღებს. მომღერლისთვის ეს თავის შემოქმედებაში ახალი ეტაპის დასაწყისია, რადგან ის და „ლათინო ბოის ბენდი“ ნამდვილად პირველები არიან, ვინც ქართული სიმღერების გაშლა ლათინოამერიკულ მუსიკაში გადაწყვიტა.

რაც შეეხება „ლათინო ბოის ბენდს“, ის ბარ „ტუკანში“ უკრავდა და უკვე 15 წლისაა. მართალია, სხვადასხვა წლებში ბენდის შემადგენლობა იცვლებოდა, მაგრამ ბოლო ათი წელია, მას ერთგული წევრები ჰყავს. ბენდი ძირითადად კლუბებში უკრავს, მაგრამ, ამავე დროს, გასვლითი კონცერტებით აქვთ როგორც მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე უკრაინაში.

რამდენიმეთვიანი ერთობლივი მუშაობის შემდეგ გიო ხუციშვილს და „ლათინო ბოის ბენდს“ უკვე ათი სიმღერა აქვს მზად, მათ შორის ოთხი თბილისზეა, მათი ავტორები კი ოთარ რამიშვილი, ეთერ ჭელიძე, ნუნუ დუღაშვილი და გოგი ცაბაძე არიან. პროექტში შემავალი ყველა სიმღერის არანჟირების ავტორი გიო ხუციშვილის მეუღლე მაიკო ჯორჯაძეა, რომელსაც მსმენელი მასთან ერთად შესრულებული დუეტებით იცნობს. როგორც ამბობენ, სიმღერა კლუბური იქნება და ყველა მსმენელს წამოხტომის და ცეკვის განწყობა დაეუფლება.

საათნახევარიან საკონცერტო პროგრამაში ჩართულები იქნებიან გიო ხუციშვილის უცვლელი პარტნიორები დუეტებში – ლიზა ბაგრატიონი, მამუკა ჩარკვიანი. იმღერებს თუ არა მაიკო ჯორჯაძე მეუღლესთან ერთად, ჯერჯერობით უცნობია. არ არის გამორიცხული, ამ კონცერტში მომღერლის შვილი ზუკა ხუციშვილიც ჩაერთოს, რომელიც უცხოეთში სწავლობს. გიო ხუციშვილის თქმით, ისინი გაჩერებას არ აპირებენ და უკვე არსებულ რეპერტუარს ახალი სიმღერებით გამდიდრებასაც უპირებენ.

პროექტთან დაკავშირებით შემოქმედებით გუნდს უკვე აქვს გაწერილი გეგმები. მათი სურვილია შემოდგომაზე პროექტში უკვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში წარმოადგინონ, რომ კულტურის სამინისტრო ქართული შოუბიზნესითაც დაინტერესდეს. რაც შეეხება კონცერტს თბილისში, სავარაუდოდ, ის შემოდგომაზე „თბილისის ივენთ ჰოლში“ გაიმართება. არ არის გამორიცხული „გიო და ბიჭები“ მომავალში კონცერტებით სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში ჩავიდნენ.

არტ-პროექტი „ბათუმის ეზოს ამბები“ დაიწყო

ეკა ირემაშვილი

ბათუმში დაგეგმილ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას წელს უკვე მეორედ შეუერთდა საჯარო ხელოვნების პროექტი „ბათუმის ეზოს ამბები“. პროექტის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „მიკრო-ფონია“. როგორც ორგანიზატორები აღნიშნავენ, ეს არის ქალაქის ქუჩებში დაგეგმილი მასშტაბური გამოფენა, რომელშიც, სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ მხატვრებსა და ქართველ შემოქმედებთან ერთად, ბათუმის ეზოს მცხოვრებლებიც მონაწილეობენ.

არტ-პროექტს პირველ დღეს საღამოს ბათუმის ისტორიული უბნის, ხუღლოსა და გორგასლის ქუჩებმა უმასპინძლეს. ამ ქუჩის მცხოვრებლების პირადი ნივთებით, ისტორიებით, ფოტოალბომებით, იტალიური ეზოების ძველი ატრიბუტიკითა და წეს-ჩვეულებებით საგამოფენო ექსპონატები შეიქმნა.

პროექტი ბათუმის ქუჩებში ამერიკელი ხელოვანების ნამუშევრებით გაიხსნა. ორგანიზაცია „მიკრო-ფონის“ განცხადებით, საღამოს ბათუმის ისტორიულ ქუჩებში ავტომანქანამ სპეციფიკური განათებითა და მუსიკალური გახმოვანებით ჩაიარა და ქალაქის ისტორიულ შენობებზე უჩვეულო ჩრდილები და კომპოზიციები შექმნა.

პროექტი 25 აგვისტომდე გაგრძელდება და მასში სხვადასხვა სახელოვნებო ცენტრიდან 12 ხელოვანი იქნება ჩართული. ისინი ეზოს მაცხოვრებლებთან ინტენსიური თანამშრომლობის საფუძველზე შექმნიან ჯგუფურ და ინდივიდუალურ ნამუშევრებს, პერმანენტულის, პერფორმანსის ან დროებითის სახით. ნამუშევრები გამოიფინება იმავე ეზოებსა და ქუჩებში.

ორგანიზატორთა ცნობით, გამოფენები ქუჩებსა და ეზოებში მნიშვნელოვნად შეცვლიან ეზოების იერსახეს და მობინადრეთა აქამდე უცნობ, კულტურულ, ისტორიულ და ყოფით თავისებურებებს ხელოვნების ნიმუშების სახით წარმოადგენენ. პროექტი „ბათუმის ეზოს ამბები“ ყოველწლიურია და ის წელს მეორედ გაიმართება.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

სლოვენია და ხორვატია ვერ ყოჩალობენ

საქართველოს ეროვნული ნაკრების მსგავსად, საერთაშორისო ამხანაგური ტურნირები მოილიეს ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა მომავალმა მეტოქეებმა – სლოვენიამ და ხორვატიამ. აღსანიშნავია, რომ სლოვენიელებმა, რომლებმაც მოსამზადებელი ეტაპი 4 გამარჯვებით დაიწყეს, შედეგიანობას უკლეს და სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში უხეიროდ იასპარეზეს.

ბელგრადში სლოვენიასა და მასპინძელ სერბეთთან ერთად თავი თურქეთმა და უკრაინამ მოიყარეს. ტურნირზე ყველა ყველას არ შეხვდა, გუნდებმა ნახევარფინალში ითამაშეს, შემდეგ კი მოგებულები და წაგებულები ერთმანეთს შეხვდნენ. სლოვენიამ ნახევარფინალში რის ვაი-ვაგლახით დაამარცხა ის თურქეთი, რომელიც 4 აგვისტოს ცელიეში 19 ქულით გაანადგურა.

თურქებს შეუერთდნენ გუნდის წამყვანი მოთამაშეები – ომერ ამიკი და ერსან ელიასოვა. სლოვენიელები ბოლო წუთებამდე მარცხდებოდნენ, თუმცა გამარჯვების მოპოვება მაინც მოახერხეს – 55:54. მეორე ნახევარფინალში მასპინძლებმა 96:68 სძლიეს უკრაინას და ფინალისტებიც გამოვლინდნენ.

სერბეთმა ფინალში 91:66 გაანადგურა სლოვენია და ტურნირის გამარჯვებული გახდა. სლოვენიელთაგან ერთადერთი ნათელი წერტილი იყო ბოსტიან ნახბარი, რომელმაც 20 ქულა მოაგროვა, დანარჩენებმა 10-ქულიან ბარიერსაც ვერ მიაღწიეს.

საკონტროლო მატჩებში ჩაება ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქე ხორვატიაც. ექსიუგოსლავიელებმა პირველი მოსამზადებელი მატჩი ზაგრებში, მაკედონიასთან გამართეს. ხორვატებს გაუჭირდათ მაკედონიელთა ძლევა და საბოლოოდ 5 ქულის სხვაობით – 72:67 იძალეს.

შემდეგ ხორვატები საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგის საერთაშორისო ტურნირში ჩაებნენ, სადაც მასპინძლები, ბერძნები და გერმანელები ასპარეზობდნენ. ხორვატებმა ყველა მატჩი წააგეს, საიდანაც ყველაზე უიმედოდ შეხვედრა მასპინძლებთან დათმეს – საფრანგეთმა ხორვატიას 92:60 მოუგო.

ყველაზე ახლოს ხორვატები გამარჯვებასთან ბერძნებთან შეხვედრაში იყვნენ. თანაბარ ბრძოლაში მიმდინარე შეხვედრის ბოლო საბერძნეთმა თავისი გაიტანა და საბოლოოდ 87:85 იმარჯვა. ტურნირის ბოლო შეხვედრა, რომელიც ხორვატიამ გერმანიასთან 11 აგვისტოს გაიმართა, 10 ქულით – 63:73 წააგო. ხორვატია მომდევნო საკონტროლო მატჩებს მონტენეგროსთან 15 და 16 აგვისტოს გამართავს.

ირბ-მ ტესტები დაგეგმა

რაგბის საერთაშორისო კავშირის (ირბ) ვებვერდზე გამოქვეყნდა სტატია, რომელიც მეორე დონის ნაკრებებსა და მათ ტესტ-მატჩებს შეეხო. იქ ასევე მოხსენებულია საქართველოს ნაკრები და ივნისში გამართული „თბილისის თასი“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შემოდგომაზე 3 თბილისური ტესტი ელის: 9 ნოემბერს – კანადასთან, 16-ში – აშშ-სთან, ხოლო 23-ში – სამოასთან.

ახლა კი სტატია:

2015 წლის მსოფლიო თასისათვის მოსამზადებლად მეორე დონის სარაგბო ქვეყნები მიმდინარე წლის ნოემბერში, ჯამში, 22 ტესტს გამართავენ.

2015 წლის მსოფლიო თასის მნიშვნელოვანი ფაზის მოახლოვებასთან ერთად, სამოა, ფიჯი, ტონგა, რუსეთი, აშშ, კანადა, რუმინეთი, იაპონია, ურუგვაი, პორტუგალია, საქართველო, ჩილე, ბრაზილია და ესპანეთი პირველი დონის სარაგბო ქვეყნებთან თამაშის მიზნით ოკეანეთის სამ გუნდს დაუპირისპირდებიან.

ნოემბრის ტესტების ფარგლებში მოხდება ოკეანეთის ორი გუნდის ისტორიული ვიზიტი – სამოა ესტუმრება საქართველოს, ხოლო ტონგა კი რუმინეთს. გარდა ამისა, პორტუგალიის ნაკრები სან პაულოში ესტუმრება ბრაზილიას, რათა თავიანთ ისტორიაში გამართონ პირველი ურთიერთმატჩი.

2019 წლის მსოფლიო თასის მასპინძელი იაპონია, ნოემბრის სატესტო ფანჯრის ფარგლებში ევროპაში გამგზავრებამდე, სადაც ისინი შოტლანდიას, რუსეთსა და ესპანეთს დაუპირისპირდებიან, შინ ტოკიოში „ოლ ბლექს“ (ახალი ზელანდია) ეთამაშებიან რითიც კიდევ უფრო გააუმჯობესებენ თავიანთ სარაგბო განვითარებას.

ბერნარ ლაპასე, ირბ-ს თავმჯდომარე:

– ეს მსოფლიო მასშტაბით სარაგბო თვალსაზრისით შესანიშნავი პერიოდია. რაგბის მსოფლიო თასის მიმდინარე კომერციული წარმატებების გათვალისწინებით, რაგბის საერთაშორისო საბჭოსათვის შესაძლებელი გახდა თამაშში სარეკორდო ოდენობის თანხების ინვესტირება. 2012 წლის ნოემბრისა და 2013 წლის ივნისის პროგრამის ფარგლებში ჩვენ უამრავი დაძაბული მატჩის მომსწრენი გავხდით. თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ მეორე დონის ქვეყნებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავიანთი თამაში. მაგალითისათვის, სამოამ დაამარცხა უელსი, შოტლანდია და იტალია; ტონგამ შოტლანდიას სძლია, ხოლო იაპონიამ კი იაპონური რაგბის ისტორიაში პირველად შეძლო უელსის ნაკრების დამარცხება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მე თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ნოემბრის ტესტ-სერიის ფარგლებში საკმაოდ ბევრი დაძაბული და საინტერესო მატჩი გველის.

დატვირთული ივნისის გრაფიკის გათვალისწინებით, 2013 წელი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს უპრეცედენტო წლად მეორე დონის ქვეყნებისათვის – წყნარი ოკეანის ერთა თასს დაემატნენ კანადა და აშშ-ს ნაკრებები.

ივნისში საქართველოში აგრეთვე დასაბამი დაედო ირბ-ს თბილისის თასს, სადაც მასპინძლებმა მიიღეს ურუგვაის ეროვნული ნაკრები და სამხრეთი აფრიკისა და ირლანდიის განვითარებადი სანაკრებო გუნდები.

რაგბის მსოფლიო თასის, როგორც ერთ-ერთი გლობალური ბრენდის წარმატებამ, რაგბის საერთაშორისო საბჭოს მისცა შესაძლებლობა, მეორე დონის ქვეყნებისათვის ნოემბრისა და ივნისის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფანჯრის ფარგლებში უპრეცედენტო ყოველწლიური მატჩების განრიგი დაეფინანსებინა.

მარკ იგანი, რაგბის საერთაშორისო საბჭოს საშეჯიბრეგო კომიტეტის თავმჯდომარე:

– ნოემბრის ტესტებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია იმ რაგბის კავშირების განვითარებაში, რომლებიც ირბ-ს მიერ აღიარებულნი არიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინვესტირების პროგრამის მონაწილეებად. ეს მსოფლიო სარეიტინგო მატჩები მწვრთნელებისათვის შესაძლებელს გახდის, მორაგბეთა შეფასება მოახდინონ კონკურენტუნარიან გარემოში. გარდა ამისა, ეს ირბ-ს მისცემს შესაძლებლობას, შეაფასოს მეორე დონის მოწინავე ქვეყნების სათამაშო პროგრესი როგორც ერთმანეთის წინააღმდეგ მატჩებში, ასევე პირველი დონის ქვეყნების ნაკრებების წინააღმდეგ. ჩვენ ასევე ვმუშაობთ იმაზე, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორიც ნამიბიაა, მიეცეთ რიგი ტესტ-მატჩების ჩატარების საშუალება და ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში დამატებით რამდენიმე ნოემბრის ტესტს გამოვაქვეყნებთ.

რაგბის საერთაშორისო საბჭოსანაკრებო პროგრამებში და მეორე დონის ქვეყნებისათვის გასამართი მატჩებისათვის ყოველწლიურად 10.5 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტ ინვესტიციას ახორციელებს.

ირბ ასევე განაგრძობს ახლად დაფუძნებული და წარმატებული ტურნირების დაფინანსებას, როგორებიც არის წყნარი ოკეანის ერთა თასი, ამერიკის კონტინენტური სარაგბო ჩემპიონატი, ერთა თასი და თბილისის თასი.

შედეგები

ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-კაიზერი 2:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ბრესტი-ისტრი 3:1

ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბანიკი-იაბლონეცი 0:4

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-ზავიშა 1:1

დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ვესტშელანი 0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კაზანჯიანის ნაკრები ჯგუფიდან გავიდა

მიმდინარე ზაფხულს საქართველოს ეროვნულმა, 20 და 18-წლამდე ნაკრებებმა, ჯამში, 20-მდე თამაში გამართეს და მხოლოდ 2 მოიგეს. ეს ყველაფერი ცუდად გვენიშნა, მით უფრო – ახალი თაობის წარუმატებლობა, თუმცა მათი საქმე ოდნავ გამოასწორა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფიდან გავიდა.

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში მიმდინარე ბ დივიზიონში გია კაზანჯიანის გუნდმა ავსტრიას 81:65 მოუგო და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. ტურნირის 2 წაგებით დაწყების შემდეგ ქართველები არ გატყდნენ, ჯგუფში დარჩენილი სამივე მატჩი მოიგეს და ჯგუფიდან გააღწიეს. ამით კაზანჯიანის განწვრთნილმა გუნდმა ტურნირის 8 საუკეთესო გუნდში ადგილი გაინაღდა.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის სტარტზე გია კაზანჯიანის შეგირდებმა ჩეხეთთან (51:52) და უნგრეთთან (59:63) წააგეს, მაგრამ ჯერ ლუქსემბურგს (83:39) მოუგეს, მერე ბელარუსიც დაამარცხეს – 74:66 და...

ბოლო ტურის წინ საქართველო მხოლოდ საკუთარ თავზე იყო დამოკიდებული. მოუგებდა ავსტრიას მინიმუმ 5 ქულით, ჯგუფიდან გადიოდა, ვერა და მეორე ეტაპზე ავსტრია გადიოდა. საქართველოს ნაკრებმა მძიმედ დაიწყო და პირველი მეოთხედი 6 ქულით წააგო, დიდი შესვენებისთვის კი 7 ქულით ჩამორჩებოდა – 33:40.

მეორე ტაიმში მოედანზე სულ სხვა საქართველოს ნაკრები გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ბევრ საჯარიმოებს აცილებდნენ (37-დან 20 ჩააგდეს), სროლები და, რაც მთავარია, სწრაფი გარღვევები წაუვიდათ და მესამე მეოთხედის 25:11 მოგების შემდეგ 7-ქულიანი ჩამორჩენა 7-ქულიანი ლიდერობით შეცვალეს.

ბოლო პერიოდში ქართველებმა მოპოვებული უპირატესობა არათუ დათმეს, არამედ განიმტკიცეს და საბოლოოდ ავსტრიელებს 16 ქულით – 81:65 მოუგეს, რითაც ჯგუფში მეორე ადგილი გაინაღდეს. ვინც მოედანზე იყო, გამარჯვებაში ყველამ დიდი წვლილი შეიტანა, თუმცა გამოსარჩევია ლევან გოგოლაძისა და ვიტალი ცქიფურიშვილის სიზუსტე. ამ ბიჭებმა, საბოლოო ჯამში, 19-19 ქულა დააგროვეს. გოგალაძემ ბოლო 2 წუთში 6 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო ცქიფურიშვილმა ბოლო პერიოდში 4-დან 4 ორქულიანი მიითვალა, სულ კი 9-დან 8 ორქულიანი ჩააგდო.

საქართველოს ნაკრები პირველადგილსან ჩეხეთთან ერთად მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც 4-გუნდიან ფ ჯგუფში მოხვდა. ეს ორი გუნდი ერთმანეთს აღარ შეხვდება და პირველ ჯგუფურ ეტაპზე დაფიქსირებული შედეგი გადაჰყვებათ ანუ ჩეხეთი მეორე ჯგუფურ ეტაპს 1 გამარჯვებით, საქართველო კი 1 მარცხით დაიწყებს.

ფ ჯგუფში მოხვდნენ ბოსნია და ისრაელი, რომლებმაც პირველი ეტაპი ც ჯგუფში 1-2 ადგილებზე დაასრულეს. როგორც ჩეხეთმა საქართველოს, პირველ ეტაპზე ბოსნიამაც 1 ქულით დაამარცხა დანია და ფ ჯგუფში ეს შედეგიც იქნება გათვალისწინებული ანუ ოთხივე გუნდი 2-2 მატჩს ჩაატარებს და ჯგუფში საბოლოოდ 1-2 ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალში გავლენ.

გია კაზანჯიანი:

– ავსტრია ჩვენზე გაცილებით ტანმაღალი გუნდია. ეს უპირატესობა თავიდანვე გამოჩნდა და ამიტომაც ჩამოვრჩით. ჩვეულებრივი თამაშით წარმატებას ვერ მივაღწევდით, ავსტრიელებისთვის ბურთის გადმოტანა რომ დაგვენებებინა, მოგების შანსი არ გვქონდა. ჩვენს მოედანზე მეტოქის 2 ტანმაღალი მოთამაშე მუდამ იმყოფებოდა, რომლებიც ბურთს ელოდებოდნენ და თუკი მიიღებდნენ, მერე მათი შეჩერება ძალიან ძნელი იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ, მთელ მოედანზე პრესინგი გვეთამაშა და მატჩის ბოლო 30 წუთზე მეტი სწორედ ამ ტაქტიკით ვთამაშობდით.

– გქონდათ პრესინგის თამაშის რესურსი?

– ხშირი როტაცია, ძალების გადანაწილება და ბიჭების მონდომება – ამ კომპონენტების ხარჯზე წარმატებით ვითამაშეთ პრესინგი, რამაც საკმაოდ გაგვიიოლა თამაში. ბევრი ბურთი ჩავჭერით როგორც ჩვენს, ისე მეტოქის მოედანზე და სწრაფი შეტევებით საჭირო ქულებს ვითვლიდით. საბოლოოდ მეტოქეზე 9-ით მეტი – 15 ჩაჭრა მოვაგროვეთ, რაც დიდი უპირატესობაა.

– ვიტალი ცქიფურიშვილმა 9-დან 8 ორქულიანი ჩააგდო.

– ვიტალი მატჩის დღეს იუბილარი იყო, 16 წლის გახდა და, როგორც საკუთარ თავს, ისე მთლიანად გუნდს ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა. არავის გამორჩევა არ მინდა, ყველამ კარგად ითამაშა. ცქიფურიშვილს კი იმიტომ ჰქონდა ჩაგდებული ბურთების მაღალი პროცენტულობა, რომ როგორც გითხარით, პრესინგის შედეგად ბურთს ხშირად ვჭრიდით, ხოლო ცქიფურიშვილმა თითქმის ყველა ბურთი სწრაფი გარღვევით, ფარქვეშ შეჭრილმა ჩააგდო.

– ტურნირის 2 წაგებით დაწყების შემდეგ ჯგუფიდან გასვლა მოახერხეთ, რაც საკმაოდ იშვიათია.

– ტურნირი უიღბლოდ დავიწყეთ. ჩეხეთთან მოსაგები მატჩი წავაგეთ, არადა, ეს გუნდი ტურნირზე ერთ-ერთი საუკეთესოა და დღემდე ვთვლი, რომ ჩეხებთან ჩვენი საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ. არ გაგვიმართლა მომდევნო შეხვედრაში უნგრეთთან, რასაც მსაჯების მიკერძოება თუ შეცდომაც დაემთხვა.

– კონკრეტულად რაზე ამბობთ?

– მატჩის ბოლო 5 წუთში როგორც იცით ქულა ვერ მოვიპოვეთ, არადა, მატჩის ბოლოსწინა წუთზე გიორგი ცირეკიძემ წესების სრული დაცვით ჩააგდო ორქულიანი, თანაც მეტოქე მასზე დაჯარიმდა. ნორვეგიელმა მსაჯმა აშკარა ბურთი არ ჩათვალა. არადა, ცირეკიძეს, როცა ფარქვეშ შესული მეორე ნაბიჯს დგამდა, მეტოქე ეუხეშა. ის ბურთიც უნდა ჩათვლილიყო და საჯარიმოც უნდა ესროლა და ნაცვლად იმისა, რომ ასე მომხდარიყო და დავწინაურებულიყავით, მსაჯმა ბურთი გააუქმა. ამას მოჰყვა ჩვენი დაჯარიმება და ასე მოგვიგეს უნგრელებმა 4 ქულით – 63:59. მატჩის შემდეგ მოედანი არ დამიტოვებია, იმ ეპიზოდს ვაპროტესტებდი. დარბაზში ღამის 12 საათამდე დავრჩით და კომისარ-მსაჯებთან ვამტკიცებდით ჩვენს სიმართლეს. მეორე დღეს კომისარმა აღიარა, რომ იმ ეპიზოდში მსაჯი შეცდა, უნდა ჩაეთვალა ცირეკიძის ბურთი და უნგრელიც უნდა დაეჯარიმებინა, თუმცა ეს მხოლოდ აღიარება იყო და მატჩის შედეგს ვერაფრით შეცვლიდნენ. ნორვეგიელ არბიტრს საჯარიმო სანქციები არ ასცდება, თუმცა ეს ჩვენთვის რა შვებაა. ძალიან მიხარია, რომ ასეთი მძიმე და უიღბლო დასაწყისის შემდეგ ბიჭებმა მაინც მოახერხეს ძალების მობილიზება და ჯგუფიდან გასვლა.

– მომდევნო ეტაპზე ბოსნია და დანია გხვდებათ...

– ბოსნია მასპინძელია, რომელმაც ტურნირზე ყველა მატჩი მოიგო და ამით ყველაფერი ნათქვამია. დანიაც ძალიან ძლიერი გუნდია. კარგი იყო, ეს გუნდები არ მოხვედრილიყვნენ ჩვენთან, ა და ბ ჯგუფებში გაცილებით სუსტები იყვნენ, თუმცა უკანდასახევი გზა არ გვაქვს. ახლა უფრო მწარედ მახსენდება ჩეხეთთან 1 ქულით წაგება. ის მატჩი რომ მოგვეგო, 2 ქულა მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადაგვყვებოდა, მაგრამ, რას ვიზამთ...

– რამდენად რეალურია მეორე ჯგუფიდან გასვლა?

– ჩვენი პროგრამა მინიმუმი შესრულებულია. ნახევარფინალში გასვლა უდიდესი წარმატება იქნება, რისთვისაც ბოლომდე ვიბრძოლეთ და რა გამოგვივა, მალე გამოჩნდება.

დავით ჩაგელიშვილი: „საქართველოს ნაკრები ასტანაში დასასვენებლად არ ჩასულა“

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის დღეს ასტანის ცენტრალურ სტადიონზე თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ყაზახეთის დედაქალაქში პირველი ვარჯიში არასრული შემადგენლობით ჩაატარა. ასტანის ცენტრალურ სტადიონზე თემურ ქეცბაიას გუნდმა 11 ფეხბურთელით ივარჯიშა. მათ შორის იყვნენ: გიორგი ლორია, ნუკრი რევაშვილი, როინ კვასხვაძე, ელგუჯა გრიგალაშვილი, შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი, დავით თარგამაძე, ლადო დვალიშვილი, ჯანო ანანიძე, გულვერდ თომაშვილი და დავით კვირკველია. სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, გუნდმა ყაზახეთში ჩასვლის დღეს, 12 აგვისტოს, მსუბუქად ივარჯიშა.

14 აგვისტოს დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრაში გამოძახებული ლეგიონერები ასტანაში გუშინ, გამთენიისას ჩავიდნენ. თემურ ქეცბაიამ მატჩისწინა ბოლო ვარჯიში სრული, 20-კაციანი შემადგენლობით ქალაქის მთავარ ხელოვნურსაფარიან მოედანზე გუშინ საღამოსვე ჩაატარა.

როგორც უკვე ვწერდით, ქეცბაიამ ამხანაგური მატჩისთვის გორის „დილას“ ფეხბურთელი ლაშა გვალიაც გამოიძახა, თუმცა ფეხბურთელმა კლუბის ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო ყაზახეთში გამგზავრება ვერ მოახერხა.

ყაზახეთის პირველი ლიგის „კიზილ-ჟარის“ შემადგენლობაში ფორვარდი დავით ჩაგელიშვილი თამაშობს, რომელმაც იქაურ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ყაზახეთში მოსაგებად ჩავიდა.

– მომავალ მატჩზე რას ფიქრობთ?

– ჩემი აზრით, საინტერესო მატჩი იქნება. ორივე გუნდის შემადგენლობაში კარგი ფეხბურთელები თამაშობენ და გამარჯვების შანსი ორივეს აქვს. საქართველოს ნაკრებში მოთამაშე ჩემს მეგობრებს ხშირად ვესაუბრები. ისინი ასტანაში უკვე ჩამოფრინდნენ და თამაშისთვის ემზადებიან.

– მაინც, ვისთან მეგობრობთ?

– ნაკრებში ბევრი ჩემი მეგობარი თამაშობს: გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ლორია, დავით თარგამაძე, სანდრო კობახიძე. მათთან თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს სხვა გუნდებში მითამაშია.

– საქართველოს ნაკრებში ყველაზე ძლიერი ფეხბურთელები ვინ არიან, ყაზახებს ყველაზე მეტად ვისი უნდა ეშინოდეთ?

– საქართველოს ნაკრებში ბევრი ძლიერი ფეხბურთელია, თუმცა ნახვა უნდა, როგორ მდგომარეობაში არიან ისინი. ბიჭებს რომ ვესაუბრე, ცოტა დაღლილი იყვნენ. რაც არ უნდა იყოს, ყველა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა და დაიღალნენ. საქართველოს ნაკრებს სწრაფი და ტექნიკური როგორც ნახევარმცველები, ასევე თავდამსხმელები ჰყავს.

– რას ამბობენ ბიჭები, გამარჯვებას აპირებენ?

– რა თქმა უნდა. ისინი ასტანაში დასასვენებლად არ ჩამოსულან და გამარჯვება სურთ.

ქართველმა 19-წლამდელებმა პოლონელებს სძლიეს

საქართველო – პოლონეთი 3:0

თბილისი, მიხეილ მესხი

1:0 ჯიქია (6), 2:0 კიკაბიძე (77), 3:0 შენგელია (90)

84-ე წუთზე ნიკა ჭანტურიამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, რომელსაც ვასილ მაისურაძე ხელმძღვანელობს, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პოლონელ თანატოლებს უმასპინძლა და 3:0 გაიმარჯვა.

ჩვენმა ფეხბურთელებმა მე-6, 77-ე და მსაჯის მიერ მესამე დამატებულ წუთზე გაიტანეს გოლები: დავით ჯიქიამ, ლუკა კიკაბიძემ და ლევან შენგელიამ გამოიჩინეს თავი. საქართველოს ნაკრებს მეოთხე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ნიკა ჭანტურიას შესრულებული 11-მეტრიანი დარტყმა პოლონელთა მეკარემ მოიგერია.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ოთო გოშაძე, ოთარ კაკაბაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ტაბიძე, გიორგი თევზაძე, მათე ცინცაძე, გიორგი აბურჯანია, ლუკა ზარანდია, ლუკა კიკაბიძე, გიორგი პაპუნაშვილი, დავით ჯიქია

მეორე ტაიმში შევიდნენ: ალეკო მზევაშვილი, ლევან შენგელია, ნიკა ახვლედიანი, გიორგი ბერიძე, გიორგი გოროზია

როგორ გადაწყდება საქართველოსა და სომხეთის შორის სადავო ეკლესიების საკითხი?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვურიგებთ. ასე რომ, ჩემი, როგორც ეპარქიის წინამძღვრის პოზიცია და განწყობა მათ მიმართ თბილი და ძმურია. ცოტას განვიცდი, რომ ისინი დედა ეკლესიის მიღმა არსებობენ, მაგრამ ესეც გასაგებია. სოციალურ და ისტორიული სირთულეებს უკავშირდება ეს ყველაფერი.

– ბოლო დროს აქტივობა შეინიშნება ე.წ. სადავო ეკლესიების საკითხში. ცნობილია, რომ რაღაც კომისიაა შექმნილი. შეგიძლიათ, ამ საკითხზე მოგვახსენოთ, რაზე მსჯელობს აღნიშნული კომისია, რა ნაბიჯებია გადადგმული და მონაწილეობენ თუ არა ამ პროცესში სათვისტომოს წარმომადგენლები?

– ბოლო წლების განმავლობაში საინტერესო ცვლილებები მოხდა. ქართული მხარე, მათ შორის საპატრიარქოც, ბოლო დროს ი შვიათად ამბობს, ნორაშენი ქართულიაო ან სურბ ნშანი. დღეს ისინი საუბრობენ არამცთუ საქართველოში მდებარე ტაძრების „სადავოობაზე", არამედ ტაძრების გაცვლაზე. საუბარია სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთით მდებარე ქალკედონურ ტაძრებზე. დღეს უკვე არავინ აღარ დავობს ტაძრების მიკუთვნილობაზე. ქართველი მაღალჩინოსნებიც კი ამას ადასტურებენ. მაგალითად, კულტურის მინისტრმა შეხვედრების მსვლელობისას რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ ეს ტაძრები სომხურია და მათ მიკუთვნილობის შესახებ დავა უსაბუთოა. მთავარი ისაა, თუ რა გზებით შევინარჩუნებთ ამ ტაძრებს, სანამ დაბრუნების (რესტიტუციის – რედ.) საკითხი გადაწყდება. ასევე როგორ შევინარჩუნოთ ქალკედონურ ტაძრებს სომხეთში და თუ საკითხი წამოიწევა – ქართულ ეკლესიას დავუბრუნოთ ისინი.

ჩვენი მიდგომა შემდეგია – უნდა განვაცალკევოთ სომხეთში მდებარე ქალკედონური ტაძრების საკითხი საქართველოში მდებარე სომხური ტაძრების საკითხისგან. ჩვენ, ჩვენი წინაპრები ათასწლეულების განმავლობაში აქ ვცხოვრობდით, ვქმნიდით. დღეს ჩვენ მოვითხოვთ იმას, რაც ჩვენი იყო, ჩვენი წინაპრების მიერ აგებულ შენობებს. სომხეთში, თუ რომელიმე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ქალკედონური ეკლესიის დაბრუნების საკითხი ქართულმა ეკლესიამ და სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტონ კონკრეტული სახელმწიფოს პასუხისმგებელ ორგანოებთან ურთიერთ-შეთანხმების გზით. სომხეთში მდებარე ეკლესიები, ეს სხვა საკითხია. ის ქართულ ეკლესიასა და სახელმწიფოს და „დედა საყდარს" (ეჩმიაძინის საკათოლიკოსე) და სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლებას ეხება. ეს მიდგომა მტკიცეა და რაც მნიშნელოვანია, ჩვენს ამ მიდგომას იზიარებს ქართული საზოგადოების ძირითადი ნაწილი. დაუშვებელია ამ საკითხების ერთმანეთში გარევა.

ხსენებული კომისიის ფარგლებში ჩვენ სულ ორი შეხვედრა გვქონდა. კომისია სამმხრივია, შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს კულტურის სამინისტრო და სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია.

პირველი შეხვედრის დროს მსჯელობა მიმდინარეობდა ტაძრების კუთვნილების საკითხის ირგვლივ. შეხვედრის დასრულებისას არავისთვის იყო ეჭვის ქვეშ, თუ ვის ეკუთვნის ეს ტაძრები. სწორედ აღნიშნულ შეხვედრაზე წამოიწია სომხეთში მდებარე ქალკედონური ეკლესიების დაბრუნების საკითხი. შემდეგი (და ბოლო – რედ.) შეხვედრის ფორმატი – ტაძრების მონახულება იყო. მოვინახულეთ ნორაშენი, სურბ ნშანი, სურბ მინასი, მუღნეცოც წმინდა გიორგი, შამხორეცოც კარმირ ავეტარანი. ჟურნალისტებმა და კომისიის წევრებმაც კიდევ ერთხელ ნახეს და დარწმუნდნენ, რომ ყველა ეს ტაძარი სომხურია. თავისი არქიტექტურით, შიდა ინტერიერით და სხვა მონაცემებით ეს სომხური ხუროთმოძღვრობის ნიმუშებია.

დღეს აუცილებელია, ეს ტაძრები ნგრევას გადავარჩინოთ. ამ კუთხით ნაბიჯები უკვე შეინიშნება. სურბ ნშანის ფუნდამენტი მცირედ გამაგრდა, წაქცეული ბოძის ნაცვლად დამჭერი კონსტრუქციაა დაყენებული. წმიდა ნორაშენის ტაძრიდან გამოტანილია ყველა წიგნი, რომელიც იქ ინახებოდა და აკადემიას ეკუთვნოდა. სურბ ნშანის ტაძრის კაპიტალური გამაგრების მოლოდინში ვართ. ამ სამუშაოებში სომხეთის რესპუბლიკის დიასპორისა და კულტურის სამინისტროებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ორი ქვეყნის კულტურის სამინისტროებს შორის არსებობს შეთანხმება, რომ ყველა დაგეგმილ სამუშაოში (გამაგრება-კონსერვაცია, აღდგენა, რესტავრაცია და სხვა – რედ.) სომეხი სპეციალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას. დღესდღეობით მნიშვნელოვანია, რომ ნგრევისაგან გადავარჩინოთ ეს ორი ტაძარი. პარალელურად ვაწარმოოთ მოლაპარაკება ტაძრების დაბრუნების თაობაზე. ვთვლი, რომ შემოდგომაზე, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამ საკითხში გარკვეული წინსვლა გვექნება. ქართული საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს გარკვეული ცვლილებები შეინიშნება მათ მიდგომებში. ვიმედოვნებ, რომ ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება და მოიხსნება ჩვენი ეკლესიების ურთიერთობის „დღის წესრიგიდან".

ქართულ ეკლესიასთან კიდევ ერთი საკითხი გვაქვს მოსაწესრიგებელი. საქმე „გადანათვლას" (სეცუნდი ბაპტისმატის – რედ.) ეხება. ვიმედოვნებ, რომ მოვა ის დრო, როდესაც ერთად დავსხდებით და ამ საკითხზე ღიად ვისაუბრებთ. ადრე გვქონდა ამაზე საუბარი, მაგრამ ნათელია, რომ საკითხი უფრო სერიოზულ განხილვას საჭიროებს. ფაქტია, რომ ქართულმა ეკლესიამ, ამ საკითხთან დაკავშირებით, მიდგომები უნდა შეცვალოს.

რაც შეეხება კომისიაში სათვისტომოს წარმომადგენლების მონაწილეობის საკითხს. საქართველოს სომხობა, როგორც იურიდიული კავშირები, ასევე ფიზიკური პირებიც, ყოველთვის დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ამ პრობლემას (ეკლესიების დაბრუნების საკითხი – რედ.), მაგრამ ეკლესიების დაბრუნებისა და აღდგენის დღევანდელ პროცესებში, ჩემი აზრით, არ არის საჭირო ფართო მასების ჩართვა. თუ დღეს, ყველა უკმაყოფილებაზე ჩვენ 200 ადამიანს გამოვიყვანთ საპროტესტო აქციაზე, ქართველები 200.000-ს გამოიყვანენ. კონფლიქტურ სიტუაციებს უნდა ვერიდოთ. ეს არის ჩემი მიდგომა. ხალხი, არც სომხები და არც ქართველები, ამ საკითხში არ უნდა ჩავრიოთ. ეს საკითხი ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ მაღალჩინოსნებთან ერთად. თუ ჩვენი ხალხი დაინახავს, რომ ტაძრების საკითხი საფრთხის ქვეშ იმყოფება, მაშინ ბუნებრივია, უნდა იმოქმედოს. თუ საჭირო იქნება 10 კაცი 10.000-ის წინააღმდეგაც კი გამოვალთ. მაგრამ მგონია ამ ეტაპზე ამის საჭიროება არ არსებობს. სათვისტომოს მოხელეების დამსახურებაა, რომ დღემდე აღნიშნული საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფება.

– ცნობილია, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც არსებობს სომხურ სათვისტომოები, თვითორგანიზების ერთ-ერთი ფორმა თემური საბჭოა. რამდენადაც ჩვენ ინფორმირებულნი ვართ, საქართველოში მსგავსი საბჭო არ არსებობს. შეგიძლიათ გვიამბოთ, რაში მდგომარეობს სირთულე და როდის ველოდოთ ამ მოვლენას?

– მე ჩემი მსახურების პირველივე ეტაპიდან, უკვე თითქმის 10 წელია ჩვენ ვსაუბრობთ ამ თემაზე, ორი წლის წინაც ჩვენ ეჩმიაძინის საკათედრო ტაძრის ეკლესიათა შორის განყოფილების პასუხისმგებელ ჰოვაკიმ ეპისკოპოსთან ერთად შევიმუშავეთ თემური დებულება, დაფუძნებული სომხური ეკლესიის მიერ 2010 წელს მიღებული თემური წარმომადგენლობის კომისიის მხრიდან საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით და იმ წლიდან მოყოლებული იმყოფება ჩვენს ყოველთა სომეხთა კათალიკოს გარეგინთან. კათალიკოსმა გარეგინმა თქვა, რომ უნდა შეიქმნას საბჭო, სომხეთის თემებს არ აქვთ და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ თემსაც არ აქვს საკუთარი თემური დებულება, ისინი (ე.წ. „კლასიკური" დიასპორის სასულიერო თემები – რედ.) რომ იძახიან თემურს ან სამრევლო საბჭოს, ეს ძალიან პირობითია. თუმცა ზეპირად რამდენიმე ჯერ მივმართეთ წმინდა ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარს, თუმცა მათი მიდგომა შემდეგია: უნდა შეიქმნას მოდელი ყველასთვის და სრულიად სომეხთა კათალიკოსის კურთხევით მოაღწიოს ჩვენამდე. ჩვენ ამის საჭიროებას განვიცდიდით, ვინაიდან როდესაც სამრევლოები მუშაობს, მათ სჭირდებათ დებულება, სამრევლო საბჭოსი, თემური სადეპუტატო, სამრევლო სადეპუტატო საბჭოს, რომელიც აირჩევს თემურ საბჭოს. ასე რომ, ეს საკითხი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ეს დამოკიდებულია წმინდა ეჩმიაძინზე და ჩვენ ველით შედეგებს. წელს იქ უნდა შედგეს საეპისკოპოსო საბჭო, რომელიც განიხილავს ასეთ საკითხებს, იმედია იქ შექმნილი კომისია შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს ამ დებულების საკითხის თაობაზე, ეს საკითხი უკვე მომწიფებულია, ვიმედორებ, რომ ჯერ 3 წლის წინ ეს ნამუშევარი წარედგინა სომხური სამოციქულო ეკლესიის საკათედრო ტაძარს, დარწმუნებულნი ვართ რომ ამ წლის ბოლომდე საეპისკოპოსო შეხვედრის შემდეგ დამტკიცებულ დებულებას გვიბოძებს.

– თქვენი აზრით, რა გამოწვევების წინაშეა დღეს საქართველოს სომხობა?

– საქართველოს სომხობის უმთავრესი გამოწვევა, როგორც სამშობლოში, ისე აქ – ემიგრაციაა. ემიგრაციას მე ძირითად გამოწვევად ვთვლი. მეორე გამოწვევა, რომელიც არსებობს ამ ტიპის ქვეყნებში, შერეული ქორწინებების მეშვეობით ასიმილაციის საფრთხეა, შემდეგი საფრთხე – ჩვენი ხალხის განათლებულობის შემცირებაა, სკოლების დაბალი დონე, აგრეთვე სოფლის სათვისტომოებში, განათლებასთან ერთად არ შემიძლია არ აღვნიშნო კულტურული ცხოვრების არარსებობა. ეს სერიოზული გამოწვევებია. ამ საკითხებთან ერთად არსებობს მეოთხე საკითხიც, ეს სოციალური პრობლემის საკითხია, განსაკუთრებით სოფლის სათვისტომოებში, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ძირითადად ეს გამოწვევებია. სხვა გამოწვევებზე იმას ვიტყოდი, რომ სომხობა განიცდის სათვისტომოს სტრუქტურის აქტიური საქმიანობის ნაკლებობას, არსებობს 2-3, თუმცა ეს ცოტაა, რადგან ნებისმიერი სომხური საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი სტრუქტურების მეშვეობით, ამიტომაც მსოფლიოში არსებობს პარტიები ან მშრომელთა უფლებების დამცველი სტრუქტურები, რომლის მეშვეობითაც სათვისტომო ხდება ორგანიზებული. ახლა რა თქმა უნდა, ეკლესია, როგორც სათვისტომო, თავისი სულიერი მოძღვრების მეშვეობით ბევრი რამის გაკეთებას ცდილობს, თუმცა 16 სასულიერო პირისა და მოქმედი 6 ეკლესიის მეშვეობით, ეს ძალიან რთულია. ეს არის ძირითადი გამოწვევები, მაგრამ აქედან ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ხალხი სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე მიემგზავრება ქვეყნიდან. ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს, რათა მინიმუმამდე დავწიოთ გამოწვევები.

– წარსულში რომ ჩავიხედოთ და შევადაროთ თქვენი მოძღვრების პირველი თვეები და დღეს, რა არის შეცვლილი თემში ამ წლების განმავლობაში? რომელი პრობლემები მოგვარდა და რომელი არა?

– 10 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი სამუშაო არის ჩატარებული და რა თქმა უნდა ჯერ გასაკეთებელი ბევრია. მე გამიჭირდება ჩემი გაკეთებული საქმის შეფასება. იმას ვიტყვი, რომ ვერ შევადარებ 10 წლის წინანდელ თბილისსა და დღევანდელს, ან თუნდაც თბილისის საზღვრებს გარეთ, თუმცა ჯერ ბევრი არის გასაკეთებელი. რეგისტრაცია მაინც მოვახერხეთ, თქვენ იცით რა ბრძოლა იყო, რათა იურიდიული რეგისტრაცია გაგვევლო, თუმცა ეს რეგისტრაცია ის არ არის, რისთვისაც ვიბრძოდით, სომხურმა ეკლესიამ მოიცვა სხვა რელიგიური სათვისტომოები და ერთობლივი ძალისხმევის შედეგი იყო. ჩვენ წინ ჯერ დგას ისტორიული ეკლესიების დაბრუნების საკითხი. წარუმატებელი საქმეა ისიც, რომ 3-5 სოფლამდე მაინც არ გვაქვს სულიერი მოძღვარი, რათა ხალხმა შეძლოს სულიერი ცხოვრებით იცხოვროს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ხალხის ცხოვრება გავხადოთ ცოტა უფრო საინტერესო. არ დაგავიწყდეთ რომ ჩვენი ხალხის ერთ-ერთი დიდი ნაწილი ცხოვრობს სოფლებში. საქართველოში სომხური სოფლების რიცხვი 130-ს აღწევს. იცით, ჩვენი ორი ძირითადი მიმართულება გვაქვს არჩეული, მოქმედი ეკლესიების რემონტი, როგორც შენობა და ამასთან ერთად ხალხთან მუშაობა, ვინაიდან ყველაზე მთავარი ხალხის გულში მყოფი ტაძრის „რემონტია", ადამიანია უმთავრესი და მე ვხედავ რომ ჩვენი მღვდლები ჩვენს თანამდებობის პირებთან ერთად ამ საქმეს აკეთებენ. მე ზოგჯერ ჩვენს სასულიერო პირებს ვეუბნები, „ხედავთ რომ როდესაც დიდ ღონისძიებებს ვატარებთ, სომხურს ან არასომხურს, ჩვენ გვესალმებიან, გვცნობენ, ეს კი იმ მუშაობის შედეგია, რომ აქ მცხოვრები ქართული საზოგადოება სხვაგვარად გვეპყრობა უკვე. სომხური სათვისტომო თავისი ღონისძიებებით, ინფორმაციით, თავისი თანდასწრებით ხალხში აზრს ცვლის. სხვადასხვა შეხვედრებზე, როდესაც ჩვენი თანამდებობის პირები ხვდებიან ერთმანეთს, ვხედავთ მათ დამოკიდებულებას, წელსაც შობასა და ვარდატონს დაესწრო პრემიერ-მინისტრი, ერთი წლის წინ კი შობის დღესასწაულის წირვას დაესწრო პრეზიდენტიც, აღდგომის წირვას მერი და მინისტრები დაესწრნენ, დეპუტატები, ჩვენი მეგობარი ეკლესიების წინამძღვრები. მე ვთვლი, რომ ხალხის დამოკიდებულება იცვლება სომხებისადმი.

– დაბოლო კითხვა, არაერთი კვლევის შედეგად ვლინდება, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დღეს უფრო დიდი ზემოქმედება და ავტორიტეტი აქვს, ვიდრე ხელისუფლებას, ხშირად საქართველოს ეკლესიის პოზიცია ხდება გადამწყვეტი ამა თუ იმ საკითხის გადაჭრისას, ხშირად ეს არ არის წმინდა სასულიერო და საეკლესიო საკითხები. როგორ თვლით რამდენად სწორი და სასარგებლოა მსგავსი ვითარება საერო სახელმწიფოსათვის, და ხომ არ არის იმის რისკი, რომ ქვეყანაში მმართველობის ფორმა შეიცვალოს თეოკრატიულზე?

– ვფიქრობ, თეოკრატად გახდომის საფრთხე არ არსებობს, მაგრამ ის, რომ ქართული ეკლესიის ავტორიტეტი და პატრიარქის როლი დიდია და ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ფაქტია. ამ საკითხს აგრეთვე დადებითი მხარეც გააჩნია, ვინაიდან საპატრიარქოსა და ქართული ეკლესიის ზემოქმედება მდგრადობის ფაქტორია და დავამატებ რომ დემოკრატიული განვითარებები და არჩევნები ამის საუკეთესო დასტურია. რთულია ხელისუფლების ჩაბარება სხვისთვის და ხშირად, შესაძლოა, რომ წაგებული მხარე ბოლოს გამარჯვებულად წარმოგვიდგეს, მაგრამ საქართველოში ეს არ მოხდა და ვთვლი, რომ ამის გარანტი იყო ეკლესიის დიდი ზეგავლენა, რომლის წინაპირობაც იყო ყველაფრის კეთილსინდისიერად ჩატარება. შეიძლება ზოგჯერ ეკლესია და სახელმწიფო უფლებამოსილებებს აჭარბებენ. ჩემი, როგორც თემის წინამძღვრის, სომხური ეკლესიის წარმომადგენლის მიდგომა შემდეგია: ერთმნიშვნელოვანია, რომ ეკლესია და სახელმწიფო უნდა იყვნენ განცალკევებულად. რაც უფრო ცალკე იქნებიან, მით უკეთესი სახელმწიფოსა და ეკლესიისთვის, ვინაიდან სახელმწიფოსა და ეკლესიის ფუნქციები განსხვავდება ერთმანეთისგან. სხვა საკითხია ის, რომ სომხური ეკლესია, როგორც ასევე ქართულიც, ჩვენი ხალხისთვის ეროვნული მნიშვნელობისაა, ეროვნული იდეოლოგიის, ტრადიციების დაცვის, ღირებულებების დაცვის, ამ თვალსაზრისით ეკლესიას ზოგჯერ შეუძლია „ხმის ამოღება", თუ ნახავს, რომ რაღაც კანონს შეუძლია ტრადიციებისთვის ზიანის მოტანა. როგორც სომხეთს, ისევე საქართველოს, ხშირად დასავლეთი ისეთ კანონებს კარნახობს, რომელიც მიუღებელია ჩვენი ხალხისთვის, აქ ეკლესია უკვე ხმას იღებს, როგორც საზოგადოების „ხმა", ვინაიდან რაც არ უნდა პარტიებმა და მოძრაობებმა ხმა აიმაღლონ, მათ ის გავლენა არ ექნებათ, რაც აქვს ერთიან ეკლესიას. ასე რომ, ვთვლი, საფრთხე არ არსებობს. ეს კარგიცაა, რომ ქვეყანაში არსებობს დამბალანსებელი სტრუქტურა, რომელსაც აქვს გავლენა. ყოველთვის ისტორიაში პოლიტიკოსები შეიძლება დათმობებზე წავიდნენ გარე ზეწოლისგან, მაგრამ, როდესაც არსებობს სხვა სტრუქტურა, რომელიც აიძულებს მას, გარე ზეწოლამ შეიძლება დაიკლოს და შემცირდეს ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის მეშვეობით, ეროვნული და სახელმწიფო საეკლესიო თვალსაზრისით ძალიან საინტერესოდ მოქმედებენ.

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 2. ნაყიდი ან ნაჩუქარი მოახლე ქალი ძველად; 3. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 4. წყალქვეშა სასუნთქი აპარატი; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 6. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 8. პრობლემური საერთაშორისო მოლაპარაკების ერთ-ერთი ეტაპი; 11. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 14. პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცესი; 15. ქიმიური ელემენტი, აირი; 16. მეფედ კურთხევის ცერემონიალი; 17. აეროპორტი ტოკიოში; 19. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 21. ხეებზე ბინადარი პატარა დათვი; 22. ქართული ხალხური თამაში ქამრებით.

თარაზულად: 1. სამხედრო მოსამსახურის სრული აღჭურვილობა იარაღის გარეშე; 5. წყლის ნაპირებთან ბინადარი ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 7. პოემა „ალუდა ქეთელაურის" პერსონაჟი; 9. თანამედროვე ქართველი მხატვარი ქალი; 10. არმიაში ახლად გაწვეული ჯარისკაცი; 12. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 13. საწვავი სითხე; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 17. ბრიტანული ლუდხანა; 18. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. საფრანგეთის „პ.ს.ჟ"-ს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 22. ხვიარა, მცოცავი ტროპიკული მცენარე; 23. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უნივერსიტეტში; 24. სურნელოვანყვავილებიანი ფოთლოვანი ხე; 25. მდინარის განტოტვილი შესართავი.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბარცინო; 2. ეთიკა; 3. „საფერავი"; 4. ხირხატი; 5. შერმადინი; 9. ამქარი; 12. ხერსონი; 14. ორშიმო; 15. ღელე; 17. „სეიკო"; 18. ყრმა.

თარაზულად: 6. კახეთი; 7. გაბრიაძე; 8. „აცტეკა"; 10. ბამბა; 11. ნოქალაქევი; 13. მოლაღური; 16. მეტისი; 19. რიტორიკა; 20. კომერცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ნეპტუნი; 3. „ტარიბანა"; 4. აპერიტივი; 5. „სოტბი"; 6. ასკილი; 8. იგუანა; 11. „მარტელი"; 14. ექსტრაქცია; 15. ჩანადირი; 16. აუდიენცია; 17. ვარძია; 19. ატლანტა; 21. ქინთი; 22. ისტრი.

თარაზულად: 1. ანოტაცია; 5. „საბა"; 7. სვინგი; 9. აპარტამენტი; 10. კამბუზი; 12. ფლორინი; 16. ავლაბარი; 13. „კაიზერი"; 17. ვატი; 18. ქარვა; 20. კაროტინი; 22. ირისი; 23. ქაშმირი; 24. ცენტრი; 25. თუთია.

ისრაელი 26 პალესტინელს ციხიდან უშვებს

ოთხშაბათს უნდა დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკება პალესტინელებსა და ისრაელებს შორის. მას წინ უძღოდა ისრაელის კაბინეტის გადაწყვეტილება, გაათავისუფლონ 26 პალესტინელი პატიმარი, რაც ნაწილია შეთანხმებისა, რომლის მიხედვითაც, სულ 104 ტუსაღი უნდა გაუშვას ისრაელმა ციხიდან. ისრაელის სასამართლოებში დარჩენილ 78 პალესტინელს მომავალი ცხრა თვის განმავლობაში გაათავისუფლებენ, თუ სამშვიდობო მოლაპარაკება გაგრძელდება.

კვირას ისრაელის კაბინეტმა დაამტკიცა გეგმა, რომლის თანახმად, ათასზე მეტი სახლი აშენდება ებრაელი მოსახლეებისთვის პალესტინელთა ავტონომიის ტერიტორიაზე, იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და აღმოსავლეთ იერუსალიმში, რომელიც, გაეროს თანახმად, ასევე ამ რეგიონს ეკუთვნის.

სამშვიდობო მოლაპარაკება, რომელიც ახლა სტარტს იღებს აშშ-ის შუამავლობით, 2010 წელს შეწყდა იმ მიზეზით, რომ ისრაელმა პალესტინელთა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასახლებების მშენებლობა გააჩაღა. ისრაელის ბინათმშენებლობის სამინისტროს თანახმად, ამჟამინდელი გეგმით, 1187 ბინა უნდა აშენდეს პალესტინელთა ტერიტორიაზე, რომელიც ისრაელს აქვს ოკუპირებული. დაახლოებით 800 ბინა შენდება აღმოსავლეთ იერუსალიმში, 400-მდე კი ებრაელთა დიდ დასახლებებში, იორდანეს დასავლეთ ნაპირზე.

პალესტინელმა ოფიციალურმა პირებმა აღშფოთება გამოხატეს იმის გამო, რომ ისრაელი უშვებს დამატებითი ბინების მშენებლობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე. პალესტინელები წლების განმავლობაში სამშვიდობო მოლაპარაკების განახლების პირობად მათ ტერიტორიაზე ამგვარი მშენებლობების შეწყვეტას ასახელებდნენ.

პალესტინელთა მთავარმა წარმომადგენელმა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, საებ ერეკატმა, თქვა, რომ დასახლებების გაფართოება სამშვიდობო მოლაპარაკებებს ხელს შეუშლის, თუმცა პალესტინელებმა განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ მისცენ სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებას ის შანსი, რომელსაც ის იმსახურებს.

პალესტინელებმა ავტონომიის სტატუსს მიაღწიეს ეგრეთ წოდებული „ოსლოს შეთანხმებით“, რომელიც 1993 წელს გაფორმდა აშშ-ის, რუსეთის და საკუთრივ ისრაელისა და პალესტინელთა თვითმმართველობის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ. ამ დოკუმენტის მთავარი მნიშვნელობა იყო ორივე მხარის ურთიერთაღიარება.

ამასთან, ღაზის სექტორი და მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი პალესტინელთა ავტონომიის პასუხისმგებლობაში გადავიდა. ამ შეთანხმების მიხედვით, არ გარკვეულა იერუსალიმის სტატუსი, ლტოლვილთა თემა და პალესტინელთა ტერიტორიებზე დასახლებების მშენებლობის საკითხი. ეს და სხვა თემები სამომავლო სამშვიდობო მოლაპარაკებებში უნდა გადაწყვეტილიყო.

ახლოაღმოსავლეთის კონფლიქტის გადაუჭრელი საკითხებიდან უმთავრესია, თუ რომელი ტერიტორიები შევა პალესტინელთა მომავალი სახელმწიფოს შემადგენლობაში. პალესტინელებს იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ღაზის სექტორსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში თავიანთი მომავალი სახელმწიფოს შექმნა სურთ. 1967 წელს ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაფუძნებულ დასახლებებში ნახევარი მილიონი ისრაელი ცხოვრობს. საერთაშორისო თანამეგობრობის უდიდესი ნაწილი ამ დასახლებებს უკანონოდ მიიჩნევს, აცხადებს „თავისუფლება“.

„ბი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა განაცხადა, რომ ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო შეთანხმების დადების შანსი გაიზარდა, ვინაიდან ორივე მხარე აცნობიერებს, რომ ამას ალტერნატივა არ გააჩნია.

90 წლის პერესის თქმით, იგი ბოლომდე დარწმუნებულია, რომ პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასი რეალურად არის დაინტერესებული სამშვიდობო შეთანხმების დადებით.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1978 წელს დაბადებული გიორგი ჯ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, გიორგი ჯ. თბილისში, კანკავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. დაკავებისას მან პოლიციელებს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „მაკაროვი“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდით და 8 საბრძოლო ვაზნით, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად, მისი კუთვნილი „აუდი“-ს მარკის ავტომანქანიდან ცეცხლსასროლი იარაღი „ზიგზაუერი“, 3 მჭიდი და 42 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და პოლიციისთვის წინააღმდეობის გაწევის ფაქტზე, სსსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

პუტინი აზერბაიჯანში ჩავიდა

რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინი სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანში ჩავიდა. როგორც აზერბაიჯანული „ტრენდი“ წერს, ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში ვლადიმერ პუტინს საპატიო ყარაული დაახვედრეს. ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ერთად რამდენიმე ორმხრივი შეთანხმების გაფორმება იგეგმება, მათ შორის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის საკითხებში.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის, იური უშაკოვის ინფორმაციით, ამ ვიზიტის ფარგლებში მოხდება პრაქტიკულად ყველა ორმხრივი საკითხის განხილვა. რუსეთის დელეგაციის შემადგენლობაში არიან საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ნოვაკი.

ცნობისთვის, ეს პრეზიდენტის რანგში, აზერბაიჯანში, პუტინის მეოთხე შეხვედრა იქნება. პირველად, პუტინი ბაქოს 2001 წელს სტუმრობდა, მეორედ – 2003 წელს, მესამე ვიზიტი კი 2006 წელს გამართა.

კრემლის სიახლოვეს აშშ-ის კომპიუტერი-შპიონი აღმოაჩინეს

მოსკოვში, აშშ-ს საელჩოში კიბერშპიონაჟის სისტემის „იქსქიისქორის“ სერვერია დაყენებული. ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც აშშ-ს დაზვერვის ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა პრესას საიდუმლო საბუთების ახალი პარტია გადასცა.

მოსკოვური სერვერი ერთ-ერთია იმ 700 სპეციალიზირებული კომპიუტერიდან, რომლებიც აშშ-ს ეროვნული სააგენტოსთვის ინფორმაციას აგროვებს. დოკუმენტაციიდან ცნობილი გახდა, რომ ასეთივე სერვერები განთავსებულია კიევში და პეკინში.

სნოუდენის განცხადებით, „იქსქიისქორი“ საშუალებას იძლეოდა, საკუთარი მაგიდიდან ნებისმიერ ადამიანის, მათ შორის ნებისმიერი პრეზიდენტის მიმოწერისთვის გედევნებინა თვალყური, თუკი მისი პირადი ფოსტის მისამართი იყო ცნობილი.

ამ ფონზე, აშშ-ის სადაზვერვო უწყების ყოფილი კონტრაქტორის მამას სჯერა, რომ რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს, ვერ შეარყევს აშშ-ის ზეწოლა და არ დაუშვებს ედვარდ სნოუდენის ექსტრადიციას. ლონ სნოუდენმა „როიტერთან“ ისაუბრა თავისი შვილის რთულ მდგომარეობაზე, რომელშიც ის მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც საიდუმლო ინფორმაცია გაავრცელა აშშ-ის საინტერნეტო და სატელეფონო თვალთვალის მასშტაბური პროგრამის შესახებ.

ედვარდ სნოუდენის მამის, ლონ სნოუდენის აზრით, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას გადაწყვეტილება, არ გამართოს პუტინთან პირისპირ შეხვედრა პეტერბურგში, ეკონომიკურ სამიტში მონაწილეობისას, გარკვეულწილად ედვარდ სნოუდენისთვის რუსეთში თავშესაფრის მიცემას უკავშირდება.

„ეს თამაშები, რომ „ამ შეხვედრაზე არ წავალ“, ან „იმ შეხვედრაზე არ წავალ“, ან „ამას არ გავაკეთებ“... არ მჯერა, რომ პრეზიდენტი პუტინი ამას დაჰყვეს. ეს არ მოხდება. რა მოხდება მომავალში პოლიტიკური თვალსაზრისით, მე ეს არ ვიცი“, განაცხადა ლონ სნოუდენმა, რომელიც აკრიტიკებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოქმედებას ედვარდ სნოუდენის საქმესთან მიმართებით.

„ვფიქრობ, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, ჩვენ ბევრი უთანხმოება გვქონდა საგარეო პოლიტიკასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ედვარდ სნოუდენამდე არსებობდა. რასაკვირველია, როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მოეკიდა სნოუდენის საქმეს, ამან კიდევ უფრო გაამწვავა გარკვეული საკითხები რუსეთთან ურთიერთობაში. მაგრამ შეცდომა იქნება დავასკვნათ, რომ ედვარდ სნოუდენს, ან, როგორც პრეზიდენტი იტყოდა, „29 წლის ჰაკერს“, ასეთი დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაზე“.

„როიტერთან“ ინტერვიუში ლონ სნოუდენმა პატივისცემა გამოხატა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის მიმართ – პატივისცემა გაბედულებისთვის, რომელიც მან გამოიჩინა ედვარდ სნოუდენისათვის თავშესაფრის მიცემით:

„პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა... ის ფაქტი, რომ მან საშუალება მისცა ჩემს შვილს თავშესაფარი ჰქონოდა რუსეთში ამისთვის მე ძალიან მადლობელი ვარ და დარწმუნებული ვარ, რომ არიან მსოფლიოში ადამიანები, ვინც მას ტაშს უკრავს, მათ შორის, ამერიკელებიც“.

მას შემდეგ, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო ინფორმაცია საჯაროდ გაავრცელა, ედვარდ სნოუდენი თავდაპირველად ჰონგ-კონგში გაიქცა, ხოლო იქიდან 23 ივნისს ჩავიდა მოსკოვში და 5 კვირა გაატარა შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში, სანამ 1 აგვისტოს რუსეთის მთავრობა გადაწყვეტდა მისთვის თავშესაფარი მიეცა.

ნორვეგიის პრემიერის წინასაარჩევნო გადაწყვეტილება

ნორვეგიის პრემიერ მინისტრი აცხადებს, რომ ხალხის აზრის გასაგებად საუკეთესო ადგილი ტაქსია. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე იენს სტოლტენბერგმა ერთი დღე ოსლოში ტაქსის მძღოლად იმუშავა.

ვიდეო მასალა პრემიერ მინისტრის ფეისბუქის გვერდზე დაიდო. პრემიერ მინისტრის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება სავარაუდოდ არჩევნებს უკავშირდება. მისი ლეიბორისტული პარტიის რეიტინგი ჩამორჩება ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის რეიტინგებს.

ტაქსში ფარული კამერები იყო დაყენებული, რომლებიც მგზავრების რაქციას აფიქსირებდა როცა ისინი ხვდებოდნენ, რომ მათი მძღოლი პრემიერ მინისტრი იყო. ერთ-ერთმა მგზავრმა მას მანქანის მართვის უნარი დაუწუნა, სტოლტემბერგმა კი საპასუხოდ განაცხადა, რომ 8 წლის განმავლობაში ის მანქანას პირველად მართავდა.

ვიდეოში ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „ამ კუთხიდან ის ნამდვილად ჰგავს „პრემიერ-მინისტრს“. პრემიერ-მინისტრი ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმაც იცნო და მას მოუწოდა მმართველთა ხელფასებთან დაკავშირებით რაიმე იღონოს, რადგან ქალბატონის აზრით, „ისინი მილიონებს ასე არ უნდა აკეთებდნენ“.

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიაში 9 სექტემბერს გენერალური არჩევნებია დანიშნული, მანამდე კი ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანიაა გაჩაღებული. ბოლო გამოკითხვებით, სტოლტენბერგის მემარცხენე კოალიცია არჩევნებს აგებს.

ერთ-ერთა ტაბლოიდმა პრემიერ-მინისტრს ჰკითხა, არჩევნების წაგების შემთხვევაში ისურვებდა თუ არა ტაქსის მძღოლი გამხდარიყო. მან კი ასე უპასუხა:

„ვფიქრობ, ქვეყანას და ნორვეგიელ მგზავრებს პრემიერ-მინისტრის რანგში უკეთესად ვემსახურები, ვიდრე ტაქსის მძღოლის“.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ჭიათურაში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ნოდარ თ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 11 აგვისტოს, გვიან ღამით, დაკავებულმა და მისმა ორმა მეგობარმა 1963 წელს დაბადებულ ამირან თაბაგარს ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხთან, ტყეში, ურთიერთშელაპარაკებისას, ბლაგვი საგნით თავის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენეს, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ნოდარ თ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით შესაბამისი სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებები ტარდება.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სსსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

TV პროგრამა

ოთხშაბათი 14 აგვისტო

08.00 დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" **09.10** საბ. მხ/ფ "ვილის გათავისუფლება" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ქალი კაბა**" (ჰ.ბერი) **14.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "უხილავი სამყარო" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **21.55** **ფეხბურთი.** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: **საქართველო – ყაზახეთი** (ჰ/რ) **00.00** მხ/ფ "**ლუდის ფესტივალი**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **2** ნან. (სამშ. გ/ჩვ) **14.00** დ/ფ "მარი კიური" **16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **3** ნან. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **10** სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დაბალული სიმარილე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**". **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული** 21.00 სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ქაღალი**" **9** სერ. **00.15** მხ/ფ. "**ჯარგი ქალი**" (ს.იოპანსონი)

08.00, 03.30 კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "ARTHUR ET LA GUERRE DES 2" **10.00** სერ. "**სიყვარული მუვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**მაციეარში ვიღაც იჯდა**" **14.00** სერ "**ერთგულების ქალა**" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ნაფდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.30** მხ/ფ "**ანი ძმაპანესახელოვანი მაგულიდან**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 21.20** ერთსულოვნების ვერონისაკი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** "ჩვენი ფონდი" ელენე კვალელიშვილი "აფხაზეთის სიწმინდეები" **11.00** დოკ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" **11.20** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **12.40** ღია აუდიტორია **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** აქტუალური თემა **15.30** ისტორიის გაკვეთილი **16.05** დოკ/ფ "მეომრები" **16.30** დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **16.45** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ,უფალო **18.25** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**დიმიტრი II**" I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე **00.35** მხ/ფ "**ანი მწპანესახელოვანი მაგულიდან**" **02.00** ირაო

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.00** "კვირის ამბები" (გამ.) **16.00** **სერიალი** "**ბორბალი**" **19.00** **სერიალი** "**1001 ღამე**" **22.00, 4.30** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი **8.05, 9.05** ახალი დილა **10.05, 14.10, 20.00** **სერიალი** - "**ბაბილი ზხაბი**" **11.05, 7.00** დოკ/ფ **12.30** **სერიალი** "**რეპორტ შეეხვდი დედაშენს**" გამ **13.10, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** რაც დარჩა სათქმელი გამ **16.10** გრიფის გარეშე გამ **17.10** დოკ/ფ "არქიტექტურა" **17.30** როგორ - "შეეხვდი დედაშენს" **18.00, 1.50** ღია თამაში **23.00, 0.20** მხ/ფ **3.50** მთავარი კითხვა.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,659
- ევრო — 2,206
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5685
- 100 რუსული რუბლი — 5,0439

ამინდის პროგნოზი 14 აგვისტოსთვის

მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად

აშშ-ის გენპროკურორის ინიციატივით, მცირე ოდენობით ნარკოტიკისთვის აღამიანებს აღარ დააპატიმრებენ

აშშ-ს გენერალურმა პროკურორმა ერიკ ჰოლდერმა განკარგულება გასცა, რომ მისმა უწყებამ, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულში ეჭვმიტანილ ადამიანებთან მიდგომა შეცვალოს. ამის შესახებ ინფორმაციას „ამერიკის ხმა“ ავრცელებს.

დღეიდან ფედერალური პროკურორები აღარ მოითხოვენ პატიმრობას მათთვის, ვისაც მცირე ოდენობის ნარკოტიკით დაიჭერენ. სასჯელის სახით მათ სავალდებულო სამუშაოებზე გაგზავნიან და ნარკოდამოკიდებულებაზე უმკურნალებენ. შერბილებული მიდგომა არ გავრცელდება კანონის იმ დამრღვევებზე, რომლებიც კრიმინალურ გაერთიანებებში, კარტელებში და ბანდებში იქნებიან გაწევრიანებულნი.

„სასჯელის სახით პატიმრობა არაეფექტური და არახელსაყრელია. მხოლოდ 2010 წელს, ამ კუთხით 80 მილიარდი დოლარი დავხარჯეთ. მორალური და ჰუმანიტარული ზარალის დათვლა კი შეუძლებელია“ – განაცხადა ჰოლდერმა.

თავისი გადაწყვეტილების პრეზენტაციის დასასრულს, ჰოლდერმა განაცხადა, რომ ამ ნაბიჯით იმედი აქვს, პატიმრების რაოდენობა, რომელთა რიცხვმაც ამ დროისათვის 1,5 მილიონს მიაღწია, შემცირდება. აშშ-ში მსოფლიოს პატიმრების საერთო რაოდენობის 25% ზის, იმ დროს, როდესაც იქ დედამიწის მხოლოდ 5% ცხოვრობს.

ნიუსპრესი

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 2. მაღალხარისხოვანი მინა; 3. ზედამხედველობა, მეთვალყურეობა, შემოწმება; 4. მგალობელი ჩიტი; 5. დასამწნილებლად გამოყენებული კიტრის ჯიში; 9. დიდი მახრჩობელა გველი; 10. ნივრით, მარილით შეკმაზული მშრალად მოხარშული საქონლის ან ცხვრის კერძი; 14. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოში; 15. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. მდინარის პატარა განშტოება, ტოტი; 18. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა.

თარაზულად: 6. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 7. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. ადვოკატი ანუ ...; 10. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 11. მანათობელი მწერი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 16. რუმინულ ხალხურ ინსტრუმენტებზე დამკვრელ მუსიკოსთა ანსამბლი; 19. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის ადგილმდებარეობას მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების საშუალებით; 20. მე-16 საუკუნის პორტუგალიელი ზღვაოსანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



როგორ გადაწყდება საქართველოსა და სომხეთს შორის სადავო ეკლესიების საკითხი?

ეკა ირემაშვილი

როგორ გადაწყდება საქართველოსა და სომხეთს შორის სადავო ეკლესიების საკითხი? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველოს სომეხთა სათვისტომოს“ საინფორმაციო ცენტრ „მიუტიუინს“ კითხვებზე პასუხობს სომხური წმინდა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვარი, ეპისკოპოსი ტერ ვაზგენ მირზახანიანი. „ახალი თაობა“ ამ ინტერვიუს უცვლელად გთავაზობთ:

– როგორ შეაფასებთ სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მრევლის სულიერ მდგომარეობას? რა ღონისძიებებს მიმართავს ეკლესია, რომ მრევლს დაუახლოვდეს?

– გმადლობთ. ეპარქიის მუშაობა მრავალმხრივია და მოიცავს როგორც შიდა ღონისძიებებს – ეკლესიაში მსახურება, წირვები, პარასკევობით შეხვედრები მრევლთან, ასევე ე.წ. გარე ღონისძიებებს, რომელიც ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო შინაარსის არის. ვთვლი, რომ თბილისში, გამომდინარე, რომ აქ მოგვარებული გვაქვს შენობის საკითხი – გვაქვს ჩვენი შენობა, მსგავსი ღონისძიებები უფრო წარმატებულია. ჩვენი საქმიანობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

რაც შეეხება მრევლის სულიერ მდგომარეობას, ამ საკითხშიც ყველა რეგიონში განსხვავებული მდგომარეობაა. თბილისში, ბათუმსა და ჯავახეთის სხვადასხვა კუთხეში ერთია, ქვემო ქართლის სოფლებში სხვაა.

თბილისი ქალაქური კულტურის მქონე უძველესი ქალაქია. ბოლო დროს, როდესაც ხალხს უფრო დავუახლოვდით, შეიმჩნევა დადებითი ძვრები მრევლის სულიერი მდგომარეობის თვალსაზრისით, ეს ძალიან საგრძნობია. ამის დასტურია, რომ წელს აღდგომაზე, რომელიც ქართული აღდგომისგან ერთი თვით ადრე აღინიშნა ჩვენს ეკლესიაში, 4.000-მდე ადამიანი მოვიდა ეკლესიაში. ეს მაგალითი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როდესაც ხალხი საქართველოს მსგავს ქვეყანაში ცხოვრობს, ცდილობს ძალიან არ განსხვავდებოდეს ტიტულარული ერისაგან, ცალკე არ აღინიშნოს დღესასწაულები. მაგალითად, რუსეთში ან უკრაინაში შესაძლებელია არაუმეტეს რამდენიმე ასეული ადამიანი დაესწროს სააღდგომო წირვას.

რაც შეეხება ბათუმს, იქ ასევე ძლიერია ჩვენი ეკლესია და თემური ცენტრები. ჯავახეთში ქმედითი ცენტრები გვაქვს. ახალქალაქში, ახალციხესა და ნინოწმინდაში, ყველა იმ სოფელში, სადაც ჩვენი ეკლესია ფუნქციონირებს, ყველგან შეინიშნება დადებითი ძვრები. ამ მუშაობაში, ასევე, მნიშვნელოვანია „ჰაიარტუნ“-ის, აგრეთვე ახალქალაქში მოქმედი „ვაჰრამ გაფესციან“-ის სახელობის ცენტრის წვლილი. აგვისტოში იგეგმება „ლარსლიან“ ცენტრის გახსნა ქალაქ ნინოწმინდაში. რაც შეეხება იმ მრავალრიცხოვან სოფლებს, სადაც ჩვენ არც კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გვაქვს, არც მუდმივ მოქმედი სამღვდელო, იქ მრევლის სულიერი და არა მარტო სულიერი მდგომარეობა, მძიმეა. სულიერი მდგომარეობა უშუალოდ დაკავშირებულია კულტურულ ცხოვრებასთან, ხშირ შემთხვევაში სოციალურ მდგომარეობაზეცაა დამოკუდებული. ბოლო დროს სისტემატურად, შაბათობით, ერთ-ერთ სოფელში მივემგზავრებით. იქ საღვთო წირვის შემდეგ კონცერტს ვმართავთ. შევამჩნიე, რომ ამ „დაკარგულ“ სოფლებში ჩვენი ხალხი ყველაფრის მიმართებაში გულგრილი გახდა. მათ შორის საკუთარი სოციალური მდგომარეობის მიმართაც. არც კულტურული, არც სულიერი და სხვა არ აინტერესებთ. ერთი რამ არის აღსანიშნავი, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ხალხის ცვლილება საგრძნობია. მნიშვნელოვანია, რომ ხალხი ეკლესიას არ იყოს მოწყვეტილი. ჩემი აზრით, ეკლესიას შეგვიძლია, „დავაკმაყოფილოთ“ ყველა ის ადამიანი, ვინც ისწრაფვის სულიერისკენ.

– ახდენს თუ არა ქართული ეკლესია გავლენას ჩვენი ეკლესიის მრევლზე და რა დამცავ ნაბიჯებს გადადგამს ეპარქია ამ გავლენის თავიდან აცილების მიზნით?

– სომხეთის საზღვრებს აქეთ ყველა თემი განიცდის კონკრეტული სახელმწიფოს დომინანტური ეკლესიის საგრძნობ გავლენას. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, სადაც კათოლიკური ეკლესია ძალიან ძლიერად არის წარმოდგენილი – არგენტინა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში. ყველგან ერთნაირი ვითარებაა. რუსეთშიც ასეა. საქართველოც არ არის გამონაკლისი. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ როდესაც შესაძლებელი გახდა ცენტრ „ჰიარტუნ“-ის საქმიანობის წამოწყება, ეს გავლენა შემცირდა. რაც არ უნდა იყოს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი საფრთხე ყოველთვის არსებობს. აღსანიშნავია ასევე, რომ ჩვენი ეპარქიის მრევლი – საკმაოდ თავისუფალია თავის არჩევანში. ჩვენ კი ყოველთვის ვცდილობთ ეს ზეგავლენა მინიმუმამდე დავიყვანოთ.

– ცნობილია, რომ საქართველოში ასევე მოქმედებს სომხური კათოლიკური და სომხური ევანგელისტური ეკლესიები. როგორია თქვენი თანამშრომლობა მათთან?

– ნებისმიერი სომეხი, იყოს ის ისლამის, კათოლიციზმის, ევანგელიზმის ან სხვა სარწმუნოების მიმდევარი, ჩვენი და-ძმა არის. მე უდიდესი სიყვარულით მოვეკიდები მათ. რელიგიურ თუ სხვა განსხვავებებს არ შეუძლია გადაფაროს ჩვენი ეროვნული მისია. ურთიერთობა, როგორც ასეთი, არ გვაქვს არც სომეხ კათოლიკეებთან, არც ევანგელისტებთან. ურთიერთობა გვაქვს სომეხ კათოლიკეებთან ჯავახეთში. როდესაც ვსტუმრობთ სამოციქულო ეკლესიის მრევლით დასახლებულ რომელიმე სოფელს და ამ სოფლის სიახლოვეს კათოლიკეები ცხოვრობენ, ყოველთვის მათთანაც ჩავდივართ. სხვადასხვა ღონისძიებაზე, ლოცვაზე, 24 აპრილის ღონისძიებაზე სომეხი კათოლიკეები უერთდებიან ჩვენი ეკლესიის მრევლს. ასე ხდება ყველგან – ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, ახალციხესა და ადიგენში.

რაც შეეხება ოფიციალურ ურთიერთობებს, ჩვენ ეპარქიას კონტაქტი უფრო გვაქვს საქართველოში მოქმედ რომის კათოლიკურ და ევანგელისტური ეკლესიების წარმომადგენლობებთან. მაგრამ გავიმეორებ! ჩვენი მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ამ ეკლესიის მრევლი (სომხური კათოლიკური და ევანგელისტური – რედ.) ჩვენი დები და ძმები არიან. სომხურ კათოლიკურ და ევანგელისტურ ეკლესიებთან ურთიერთობები უფრო მჭიდროა საერთაშორისო ასპარეზზე. მაგალითად, ორგანიზაცია „კეთილი სამარელის“ დახმარებით საჩუქრებს ვიღებთ, რომელსაც შემდეგ ჩვენს მრევლს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

უზნაძეს შემადგენლობა გამოაცხადა

ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ყვარელში ემზადება. მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც რიო დე ჟანეიროში მედლებისთვის იბრძოლებს. ცნობისთვის, ნაკრები ყვარლიდან ხვალ დაბრუნდება.

შემადგენლობა კი ასეთია: ამირან პაპინაშვილი (60კგ), ლაშა შავდათუაშვილი (66), ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი (ორივე 73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური (ორივე 81), ვალერი ლიპარტელიანი (90), ლომერ ჟორჟოლიანი (100), ადამ ოქრუაშვილი (მძიმე).

მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუდოში 26 აგვისტოს იწყება და 1 სექტემბერს დასრულდება. ქართველი ძიუდოისტები ბრაზილიაში ერთი კვირით ადრე, 17 აგვისტოს გაემგზავრებიან.

მ. ჟ.

ქირურგმა პაციენტის მუცლიდან ამოღებული ჰეროინი მოიპარა

რუსეთში, კრასნოიარსკის ოლქში, ნარკოკურიერისთვის ოპერაციის გაკეთებისას, ქირურგმა პაციენტის მუცლიდან ამოღებული ნარკოტიკების ნაწილი პოლიციელებს გადასცა, ნაწილი კი პირადი მოხმარებისთვის თავად დაიტოვა. სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ ნარკოტიკის გარკვეული ნაწილი ქირურგმა მოიხმარა კიდეც.

„ენ-ტე-ვე“-ს ინფორმაციით, ამ საქმესთან დაკავშირებით გამომძიებლებმა სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით – „დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა“ და „დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გატაცება,“ აღძრეს. ნარკომან ქირურგს 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ნიუსპრესი

ასტროპროგნოზი 14 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
არ აჩქარდეთ

ვერძი — მშვიდად იმოქმედეთ, აჩქარება არ გარგებთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — თქვენი საქმე კარგად წავა. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ბედი გწყალობთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანცელი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მშვიდად იყავით, ნუ აყვებით ჭორებს. **მერწყული** — წარმატებული ადამიანის იმიჯი გშვენით. **თევზები** — გზიდან ფულს მიიღებთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!